

CRISTOFORO CASTELLI

ELENE ATABEG,-THE "QUEEN" OF PERSIA AND THE NUN CHRISTINE

კრისტოფორო კასტელი -

სპარსეთის „დედოფალი“ ელენე ათაბაგი და მონაზონი კრისტინე

ELDAR MAMISTVALISHVILI

Doctor of Historical Sciences, Professor of Gori State University,

Chavchavadze st., No53, Gori, 1400, Georgia,

+995577251204, eldarmamistvalishvili@rambler.ru

<https://orchid.org/0000-0002-5978-7624>

Summari. Don Cristoforo De Castelli, a member of the Theatine order, served in Georgia for 22 years (1632-1654). He left behind remarkably valuable written accounts, as well as a rich collection of artistic, graphic drawings and sketches, which continue to hold exceptional significance for the study of Georgian history and culture in the early 17th century.

Cristoforo Castelli was profoundly moved by the challenging economic and social circumstances in Georgia, including the conversion of a significant portion of the Christian feudal aristocracy, under the pressure of the Muslim empires, to Islam—even if only formally. The forced conversion of captured or sold sons and daughters, along with other adverse events, left a deep impact on him. Catholic missionaries like Castelli saw it as their duty to save the souls of the population by converting Orthodox Georgians and Gregorian Armenians to Catholicism, and also to offer physical healing for various ailments. The letters and drawings of Cristoforo Castelli, published by Patricia Anna Licini, contain numerous examples of these efforts. From reading these letters, I infer that Castelli likely intended to use them as literary passages for a memoir or novel upon his return to Italy. However, due to illness, he could not fulfill this idea and passed away soon afterward.

In his letters, he already identified three main characters of his work: Cristoforo Castelli himself, a devoted clergyman deeply in love with Georgia, for whom the salvation of Christianity in Georgia was of paramount importance.

To convey the complex struggle between Christianity and Islam, Castelli created two contrasting female characters, drawing from real-life figures that he, as a keen observer, would have encountered in Georgia. One was Elene, the daughter of the Atabeg of Southern Georgia (Samtskhe), celebrated for her beauty. Originally converted to Catholicism by missionaries, Elene later embraced Islam when she rose to become the queen of Persia. Castelli juxtaposed her with the devout nun Christine, who embodies intense religious devotion and clearly mirrors Castelli's own fervor. In a pivotal moment, as the fictional Christine parts ways with the fictional Elene, Castelli steps out from behind Christine's figure, revealing that “Christine is the creation of Brother Cristoforo.” (‘Suor Christina l’anima di fra Cristoforo’).

Symbolically, the confrontation between Christine/Castelli and Elene was, for Cristoforo Castelli, a confrontation of the broad lower strata of the Georgian population against the renegade—against the betrayal of Christianity or the nation.

Key words: Cristoforo Castelli; Elene Atabeg; nun Christine; Persia; Levan II Dadiani.

ელდარი მამისთვალიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველო, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ., N53,1400,
+9955 99117703, eldarmamistvalishvili@rambler.ru,
<https://orcid.org/0000-0002-5978-7624>

აბსტრაქტი: თეატინელმა დონ კრისტოფორო დე კასტელმა 22 წელი (1632-1654) იმსახურა საქართველოში მან დაგვიტოვა უაღრესად საინტერესო წერილობითი ცნობები და მრავალფეროვანი მხატვრული, გრაფიკული ნახატები და ესკიზები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა დღემდე აქვთ შენარჩუნებული XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის.

კრისტოფორო კასტელი დიდად განიცდიდა საქართველოში არსებულ მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, მუსლიმანური იმპერიებისადმი ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ქრისტიანი მოსახლეობის ფეოდალური არისტოკრატის მნიშვნელოვანი ნაწილის, თუნდაც ფორმალურად, ისლამზე გადასვლას, ტყვედ წაყვანილი თუ გაყიდული ვაჟებისა და გოგონების გამუსლიმანებას და სხვა უარყოფით მოვლენებს. კათოლიკე მისიონერებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნდათ მოსახლეობის სულების, მათი გაგებით, ბემწული მათლმადიდებელი ქართველების და გრიგორიანი სომხების სხვადასხვა რელიგიური ცდომილებისგან ხსნა მათი კათოლიციზმზე მოქცევით, ხოლო ხორციელად კი სხვადასხვა დაავადებებისგან განკურნება. პატრიცია ანა ლიჩინის მიერ გამოქვეყნებული ქრისტოფორე კასტელის წერილები და ნახატები მრავალ ამგვარ მაგალითებს შეიცავენ. წერილების გაცნობამ იმ დასვენამდე მიმიყვანა, რომ ისინი კასტელს უნდა გამოეყენებინა ლიტერატურულ პასაჟებად თავის მემორიალურ რომანში, რომლის დაწერას, სავარაუდოა, აპირებდა იტალიაში დბრუნების შემდეგ, მაგრამ ავადმყოფობის გამო ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო, მალე გარდაიცვალა კიდეც.

მას თავის წერილებში უკვე გამოკვეთილი ჰყავს ჩაფიქრებული თხზულების სამი მთავარი გმირი: თვითონ ქრისტოფორო კასტელი, საქართველოზე შეყვარებული სასულიერო პირი, რომლისთვისაც ყველაფერზე წინ იდგა ქრისტიანობის გადარჩენა საქართველოში.

ქრისტიანობის ისლამთან ბრძოლის გადმოსაცემად, კრისტოფორემ შექმნა ორი ქალის სახე, რომელთა პროტოტიპების მოძებნა მაშინდელ საქართველოში ძნელი არ იქნებოდა ისეთი დაკვირვებული ადამიანისათვის, როგორც კრისტოფორო იყო. სამხრეთ საქართველოს (სამცხის) ათბაგის ქალიშვილს, სილამაზით განთქმული ელენე ათბაგს, მისიონერებმა კათოლიკობა მიაღებინეს, მაგრამ როდესაც ის სპარსეთის დედოფლი გახდა, სარწმუნოება შეიცვალა, გამუსლიმანდა. კასტელმა მას დაუპირისპირა უაღრესად მორწმუნე, მებრძოლი მონაზონი კრისტინე, რომელშიც, სრულიად გარკვევით ამოვიცნობთ თვით კრისტოფორო კასტელს. ისიც უნდა ითქვას, რომ როდესაც წარმოსახვითი კრისტინე ამთავრებს ურთიერთობას წარმოსახვით ელენესთან, კრისტოფორო გამოდის ქრისტინეს ჩრდილიდან და ფარდას ახდის საიდუმლოს: `კრისტინე მორჩილი ძმის კრისტოფოროს არსებაა` (`Suor Christina l'anima di fra Christoforo`).

სიმბოლურად კრისტინე/კასტელის დაპირისპირება ელენესთან კრისტოფორო კასტელისთვის იყო დაპირისპირება საქართველოს მოსახლეობის ფართო დაბალი ფენების პროტესტი რენეგატისადმი - ქრისტიანობის ანუ ერის მოღალატისადმი.

საკვანძო სიტყვები: კრისტოფორო კასტელი; ელენე ათბაგი; მონაზონი კრისტინე; სპარსეთი; ლევან II დადიანი.

შესავალი: წარმოდგენილ სტატიაში, იტალიელი თეატინელი მისიონერის ქრისტოფორე კასტელის წერილებისა და ნახატების მიხედვით, სრულიად ახლებურად არის მისიონერის მიერ შექმნილი ორი პერსონაჟის – ელენე ათაბაგისა და მონოზანი კრისტინეს წინაშე დაყენებული პრობლემების ისტორიული რაობის საკითხი. კრისტოფორე ამ ორ ირიალურ სახის საშუალებით სცადა ეჩვენებინა XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში ქრისტიანობის მდგომარეობა. ელენე ათაბაგი განასახიერებს იმ საზოგადოებრივ ფენას, რომელიც საკუთარი კეთილდღეობისათვის მიდის კომპრომისზე მეზობელი და ხდება რენეგატი. მონოზანი კრისტინე კი არის ელენე ათაბაგის ანტიპოდი, რომელსაც განასახიერებს კრისტოფორე კასტელი.

მეთოდები: წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები და მსჯელობა:

1. დონ კრისტოფორე დე კასტელი (1597-1659) წარმოშობით გენუელი, აღიზარდა სიცილიის ქალაქ პალერმოში, სადაც მიიღო განათლება და მოემზადა (დაეუფლა მხატვრობას და მედიცინას) აღმოსავლეთში სამისიონერო მოღვაწეობისთვის. როდესაც გორის მისიონის ხელმძღვანელმა, პრეფექტმა, პატრმა პიეტრო ავიტაბილემ რომში ჩაიტანა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზ პირველის და კათალიკოს-პატრიარქის ზაქარიას თხოვნა საქართველოში გაეგზავნათ მკურნალი და მხატვარი, საუკეთესო კანდიდატად ჩათვალეს კრისტოფორე. იგი საქართველოში ჩამოვიდა, როგორც მისიონერი, ორი წელი (1632-1634) დაჰყო გორში, 5 წელი გურიაში და 15 წელი სამეგრელოში. შეიძლება ღვთიურ განგებას მივაწეროთ კასტელის ჩამოსვლა საქართველოში. ის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა: ხატავდა სხვადასხვა თემებზე (მის მიერ შესრულებული ათასზე მეტი ნახატიდან შემოგვცქერის მისი თანამედროვე მრავალი ქართველი საერო და სასულირო მოღვაწე, ცნობილი და უცნობი ქალბატონები, დასახლებული ადგილების ხედები და სხვ.), აფორმებდა ეკლესიების კედლებს, ავადმყოფებს კურნავდა, რომში წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდეს კარდინალებს, იტალიის სხვადასხვა ქალაქებში ნათესავებსა და მეგობრებს უგზავნიდა საკმაოდ დაწვრილებით ინფორმაციას ქართველი ხალხის ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე. მის ნამოღვაწარს, საუკუნეების შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად.

2. XVII ს. პირველი ნახევრის დასავლეთ საქართველო შეიძლება აღქმული იქნას, როგორც ოდიშის (სამეგრელოს) მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) გავლენის სფერო. მისი გავლენა იგრძნობოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც მან თავისი და მარიამი ქართლის მუსლიმან მეფე როსტომს მიათხოვა და ამ ქორწინებით სპარსეთის სეფიანთა შაჰის, საფის მოკავშირე გახდა. იგი ოსმალეთის სულთნის, თავის სიუზერენისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, მას არ ეპუებოდა და მხოლოდ სიმბოლურ ხარკს უხდიდა. დასავლეთ საქართველოში არსებულ პოლიტიკური ვითარების ფონზე იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა, თეატინელმა დონ კრისტოფორე დე კასტელმა თავის მიერ გამოგონილი ელენე ათაბაგი რეალურად არსებული ათაბაგი მანუჩარ III ჯაყელის ასულად გამოაცხადა (1614-1625). მისადმი მოპყრობაში, კასტელი ლევან დადიანის ოსმალეთის სულთნის ინტერესისა და მოთხოვნის საწინააღმდეგო მოქმედების დემონსტრირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტს ხედავდა. მან მთელ აღმოსავლეთში სილამაზით სახელგანთქმული ელენე, სულთნის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ირანის შაჰს გაუგზავნა და იგი მრავალი ქართველი ქალის

მსგავსად დიდი პოლიტიკის ტიპურ მსხვერპლად წარმოაჩინა. კასტელს ელენეს სახით საქართველოს დიდი ტრაგედიის მრავალმხრივი სურათის შექმნა სურდა.¹

3. მანუჩარ III-მ თავისი სამთავროს გადასარჩენად თავგამოდებით იბრძოლა ხან სპარსელების და ხან ოსმალების წინააღმდეგ. იგი ქართლელ-კახელების გვერდით იბრძოდა მარაბდის ველზე (1625 წ.) სპარსელების წინააღმდეგ. ცოტა ხნის შემდეგ მანუჩარი, რომელიც სამცხეში (საათაბაგოში) სპარსელების და ოსმალების მიერ შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავდა, სტამბოლში წავიდა თავისი სამთავროს შესანარჩუნებლად სულთნის წყალობის სათხოვნელად. სულთანმა შეიწყნარა მისი თხოვნა და, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, *'მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა'*. როდესაც მანუჩარი სამშობლოში ბრუნდებოდა, გზაში მისი ბიძა ბექა (შემდეგში საფარ/სეფერ-ფაშა) შეხვდა, რომელმაც სტუმრად მიიწვია ძმისწული და საწამლავით მოაკვლევინა. ბექა თვითონ წავიდა სტამბოლში *'იქმნა მაჰმადიან, მოსცა (სულთანმა – ე. მ.) ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა... და მერე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს'* (ვახუშტი, 1973: 724-725).

4. წარმოდგენილი სტატია უმთავრესად დამყარებულია ქრისტიანთა კასტელის ცნობებზე და მათ ანალიზზე.

ელენეს ცხოვრების პირველი პერიოდის (სპარსეთში „გადედოფლებამდე“?) შესახებ საინტერესო ცნობები შექმნა კასტელმა, რომელიც აქტიური დამკვირვებელი იყო XVII საუკუნის 20-40-ან წლებში საქართველოში არსებული ვითარების და, მისივე თქმით, თავისი თვალთ მხილველი იყო, როგორ გადააქციეს გურიელმა და დადიანმა დაობლებული ათაბაგის ასული თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებად.

კრისტოფოროს გადმოცემით, მცირე ასაკის ელენე ათაბაგი გაიციო გურიის მთავრის მალაქია II გურიელის (1625-1639) სასახლეში და მათ შორის როგორც კრისტოფორო კასტელი ამბობდა, თბილი, მამაშვილური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. კრისტოფორო ელენეს მუდამ არიგებდა და სარწმუნოებაში განამტკიცებდა, ურჩევდა არ აპყოლოდა ცდუნებას და არ გამხდარიყო ცოლი სპარსეთის შაჰის ან ოსმალეთის სულთნის, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ ელენეს წაყვანას თავიანთ ქვეყანებში. ეს უკანასკნელიც სასტიკი წინააღმდეგი იყო არაქრისტიანის მეუღლე გამხდარიყო. მაგრამ ელენეს ბედს სხვები წყვეტდნენ მისგან დაუკითხავად.

ოდიშის მთავარმა თავის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების მიხედვით, ორი მუსლიმანური იმპერიის ერთმანეთთან ქიშპობაში ელენეს ხელში ჩაგდებისათვის, უპირატესობა შაჰ საფის მიანიჭა და ელენე მოტყუებით გაგზავნა სპარსეთში. როგორც კასტელი წერდა, ელენე სპარსეთის დედოფალი უნდა გამხდარიყო.

5. ვიდრე ელენეზე თხრობას გავაგრძელებ, მანამდე მოკლედ უნდა ითქვას შაჰ საფის შესახებ: საფი დაიბადა 1611 წელს და სემ მირზა (1611 - 12 მაისი 1642) დაარქვეს. მისი მშობლები იყვნენ შაჰ აბას I-ის უფროსი ვაჟი მუჰამად ბაქერ მირზა და ქართველი ხარჭა-დედა დილარამ ხანუმი. (Susan Babaiq..., 2003: 104). შაჰ აბას პირველმა დიდმა 1615 წელს მოკლა საფის მამა. მან მოკლა ან დააბრმავა თავისი სხვა ვაჟებიც. ტახტის მემკვიდრე გახდა საფი მირზა. მის გამეფებაში თავი განსაკუთრებით გამოიჩინა ისფაჰანის ტარულამ და სპასალარმა, ქართლის მეფე დავით XI-ის უკანონო ძემ, სპარსეთში აღზრდილმა ქაიხოსრომ, რომელიც საფიმ 1633 წელს დანიშნა ქართლის ვალად (ქართლის მეფე როსტომი. იხ.

¹ კრისტოფორო კასტელისა და ელენე დედოფლის ურთიერთობაზე პირველად გამოვაქვეყნე ჩემ წიგნში: (მამისთვალისვილი ე. 2019: 71-90). ეხლა რაც ქვეყნდება რადიკალურად განსხვავდება დასახელებული სტატიისგან. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი სტატია ძირითადად დაიწერა პატრიცია ანა ლიჩინის მერ გამოქვეყნებული კასტელის წერილებისა (Licini P. A., 1980) და ქართველი ბექან გიორგამის მიერ გამოქვეყნებული კრისტოფორო კასტელის ნახატების საფუძველზე (კრისტოფორო კასტელი, 1976)

მამისთვალიშვილი ე. 2022: 488-519; მისივე: 2020: 9-153) საფი სუსტი მმართველი იყო. მას მისი მოხელეების უარყოფითმა საქციელმა და გამუდმებულმა აჯანყებებმა შეურყია ავტორიტეტი. გაატარა რეპრესიები. თითქმის მთლიანად ამოწყვიტა სახელგანთქმული, წარმოშობით ქართველი, იმამყული-ხან უნდილამის ოჯახი, რომელსაც, ისევე, როგორც მის მამას, ალავერდი-ხან უნდილამეს, შემდეგში მადლიერმა სპარსელებმა ძეგლები დაუდგეს.

საფიმ გააგრძელა აბას I დიდის დროს ოსმალეთის იმპერიასთან წარმატებით დაწყებული ომი, მაგრამ დაასრულა სპარსეთის დამამცირებელი დამარცხებით და ზუჰაბის ხელშეკრულებით, რომელითაც ოსმალეთს დაუბრუნდა ირანის დიდი ნაწილი მესოპოტამიაში (Roemer, H.R., 1986: 285).

მოვუსმინოთ დონ კრისტოფორო დე კასტელს: *'ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ელენე, საქართველოში ერთ-ერთი ხელისუფლის – ათაბაგის ქალიშვილი... ათაბაგი თურქებმა დაამარცხეს და იძულებული გახდა უარი ეთქვა ქრისტიანობაზე, რათა თავის სამთავროდან არ გაემევიბინათ. მიუხედავად ძალმომრეობისა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ჩვენთან ერთად პროტესტს აცხადებდა. მას ჰყავდა იშვიათი სილამაზის ქალიშვილი, რომელიც ძალიან უყვარდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეშინოდა რა თურქებს ხელში არ ჩაეგდოთ იგი, ათაბაგმა ისარგებლა მომენტით და ელენე გურიის მთავარ მალაქასთან გაგზავნა, სადაც მას შეეხვედოდა, როდესაც ხსენებულ მთავარს, როგორც ექიმი ვემსახურებოდა... გურიის მთავარმა სპარსეთის შაჰთან ელჩი გაგზავნა. მაშინ შაჰი იყო აბას დიდი, ქალებისადმი სიყვარულით განთქმული. მან ელჩს ჰკითხა: მის მხარეში არიან თუ არა ლამაზი ქალები? ელჩმა უპასუხა: როგორც მზე ვარსკვლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის ბრწყინავს ელენე ათაბაგი... არტაანის, სამცხის და სხვა ქვეყნის მთავრის ქალიშვილი... შაჰმა გადაწყვიტა, რომ ის შეეფერებოდა თავის შვილიშვილს შაჰ სეფის~ (ლიჩინი პ. ა., 2009: 53-54).*

კრისტოფორო კასტელი არასწორად გადმოსცემს გამოგონილი ელენეს მამის მანუჩარ III ათაბაგის (1591-1625) გამუსლიმანების შესახებ. როგორც ითქვა, მანუჩარი ქრისტიანად გარდაიცვალა. იგი მოწამლა თავისმა ბიძა ბექამ, რომელიც გამაჰმადიანდა და სულთნისაგან ათაბაგობა მიიღო. ასე, რომ გამაჰმადიანებული ათაბაგი ამ დროს მხოლოდ ბექა III ანუ საფარ ფაშა იყო. ვფიქრობ, მ. თამარაშვილი კრისტოფორო კასტელის ცნობას ეყრდნობოდა და ამიტომ მასაც ეგონა, რომ ელენეს მამა სამცხის გამაჰმადიანებული მანუჩარ ათაბაგი იყო (კრისტოფორო კასტელი, 1976: 85, სურ. 41). სურ. 41-ზე ვხედავთ *'მაჰმად ათაბაგს~*, ხანში შესულ შეიარაღებული მხედარს, თურქულად ჩაცმულს. რომელსაც მისიონერებმა დაავადებული და მოურჩინეს. ასეთი მინაწერი გაუკეთა კრისტოფორე კასტელმა ნახატს, რომელშიც ელენეს მამის მკვლელ საფერ ფაშას გულისხმობს, მაგრამ ნახატი და მისი ანოტაცია არ მიესადაგება ისტორიულ სეფერ-ფაშას (კრისტოფორო კასტელი, 1976: 85, სურ. 41; მამისთვალიშვილი ე. 2024. ბ: 245-252). ამის შემდეგ უკვე შეიძლება ვთქვათ, რატომ დაარქვა კრისტოფორომ ელენეს მამას მაჰმუდი, შეიძლება სახელებში – მანუჩარი და მაჰმუდი, მსგავსება დაინახა. წარწერიდან ვიგებთ: *'მესხეთის ათაბაგი მაჰმუდი სპარსეთის დედოფლის ელენეს მამა~* - ახალგაზრდა შეიარაღებული მხედარი, გამოწყობილი ქართულ სამოსელში (მამისთვალიშვილი ე. 2024. ბ: 245-252).

გვაქვს კრისტოფოროს ერთი ფრიად საინტერესო წერილი, რომლის ადრესატი იყო საქართველოს წარსულითა და თანამედროვეობით დიდად დაინტერესებული, ნიჭიერი და განათლებული რომაელი არისტოკრატი დონ პიეტრო დელა ვალე (იყო მოგზაური, მწერალი, ისტორიკოსი, დიპლომატი, პოეტი, მუსიკალური ინსტრუმენტების შემქმნელი). მისი საქართველოთი დაინტერესება განპირობებული იყო არა მხოლოდ, როგორც აღმოსავლეთის უძველესი ქრისტიანული ქვეყნისადმი, არამედ იმითიც, რომ ის იყო ქართველების სიძე, მისი მეუღლე იყო, წარმოშობით კახელი მარია (მარიუჩა) თინათინ დი ზიბა პიეტრო დელა ვალე (ასე მოიხსენიებდნენ ამ ქალბატონს იტალიაში). (პიეტრო დელა ვალეს შესახებ ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე. 2022: 14-489). დელა ვალესთვის სამეგრელოდან გაგზავნილ წერილში (1642 წლის 15 მარტი), (Andreu C.R. 1951: 134-136). გარკვეული მიზანდასახულებიდან გამომდინარე

რომელიც გაცხადებულია წერილის დასასრულს, კასტელი ძირითადად ლაპარაკობს ათაბაგის ასული ელენეს თავგადასავალზე იმ დროიდან, როდესაც კრისტოფორომ იგი გაიგნო გურიაში, იმ განცდებზე, რომელიც ელენემ გადაიტანა მანამდე ვიდრე მას სპარსეთში გააგზავნიდა ლევან II დადიანი შაჰ სეფის საცოლედ. კასტელი საკმაოდ ვრცლად ლაპარაკობს ელენესთვის მიცემულ პირობაზე, რომ არასოდეს მიატოვებდა ათაბაგის ასულს, სადაც არ უნდა ყოფილიყო იგი. ამ დაპირების შესრულების საშუალებას კასტელს, როგორც ის არაერთხელ აღნიშნავდა, არ აძლევდნენ რომისა და სამეგრელოს მისიონის ხელმძღვანელობა. წერილის დასასრულს ნათელი ხდება მიზანი, რომლის გამოც კასტელმა მისწერა წერილი რომელიც არისტოკრატს და პაპის კარზე გავლენიან პიეტრო დელა ვალეს: ის პიეტრო დელა ვალეს სთხოვდა შუამდგომლობას თეატინელთა ხელმძღვანელობის წინაშე (Andreu C.R. 1951: 136), რათა ნება დაერთოთ გამგზავრებულიყო სპარსეთში დედოფალ ელენეს მფარველად და ამ უკანასკნელისა და მისი მეუღლე შაჰის დახმარებით სპარსეთში თეატინელთა მისიის დასაარსებლად, რომელსაც თვითონ, კასტელი უხელმძღვანელებდა.

წერილის დასაწყისში კასტელი ადრესატს განუმარტავს იმ მიზეზებს, რატომაც გადაწყვიტა საქართველოს თეატინელთა მისიაში ყოფნა, ჩამოთვლის ზოგიერთ იმ სიკეთეს, რომელიც მან ჩაიდინა ღვთის შეწევნით მისიაში ყოფნის დროს, რაც გამოიხატა თუნდაც მესხეთის მთავრის ქალიშვილის ელენეს კათოლიკობაზე მოქცევაში.

კასტელი წერილს იწყებს ზოდის მოხდით, რომ პიეტრო დელა ვალეს გაუგზავნა რანდენიმე ისეთი ნახატი, რომლებიც მის უდიდებულესობას არ ეკადრებოდა. ამის გამო `ნუ გამრიცხავთ თქვენი მსახურების რიგებიდან~ო, წერს კრისტოფორო კასტელი. ამ ნახატებიდან ერთერთი უნდა ყოფილიყო საყოველთაოდ ცნობილი თეიმურაზ მეფისა და მისი ცოლის, დედოფალ ხორეშანის ერთობლივი პორტრეტი. ის, რომ დასახელებული მშვენიერი სურათი, თითქოს არ შეეფერებოდა მხატვრობის და საერთოდ ხელოვნების კარგ მცოდნე პიეტრო დელა ვალეს, უფრო მისიონერი კასტელის თავმდაბლობის გამოხატულებაა რომის ერთ-ერთი უდიდესი და სახელოვანი გვარის წარმომადგენლის მიმართ.

პიეტრო დელა ვალეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სამხედრო მოღვაწედ მიაჩნდა მეფე თეიმურაზ I. მას იმდენად უნდოდა მეფის გაცნობა, რომ ერთხელ გადაწყვეტილი ჰქონდა სპარსეთიდან სამშობლოში ისეთი გზით წასულიყო, რომ საქართველოში მოხვედრილიყო, რომლის სილამაზისა და ლომბარდიასთან მსგავსების შესახებ მოგზაურებისგან ჰქონდა მოსმენილი. დელა ვალე ამის შესახებ თეიმურაზის დედას ქეთევან წამებულს სწერდა: *'რამდენადაც იქ [საქართველოში] ნამყოფებისგან გავიგე მათი ქვეყანა ძალიან ლამაზია და ძალიან ჰგავს ლომბარდიის ყველაზე ლამაზ ადგილებს~* იმავე დროს მას სურდა თეიმურაზს პირადად გასცნობოდა (Pietro della Valle, 1843: 471)

სავარაუდოა, ისფაჰანში მყოფმა დელა ვალემ საქართველოში მიმავალ თავის მეგობარ დონ პიეტრო ავიტაბილეს (შემდეგში თეატინელთა გორის მისიის პრეფექტი) სთხოვა თეიმურაზ მეფისა და დედოფალ ხორეშანის პორტრეტი დაეხატა მისიის წევრ რომელიმე მხატვარს. ავიტაბილე შემდგომში აცნობებდა დელა ვალეს, რომ მის თხოვნას შეასრულებდა მისიონერი არკანჯელო ლამბერტი, *რომელსაც აქვს უნარი მინიატურები გააკეთოს~* (ტაბალუა, 1987: 143). არ ვიცი შეასრულა თუ არა ლამბერტიმ დაკვეთა, რადგან მისივე აღიარებით მხატვრობა მისი ხელობა არ იყო. მას იმდენად შეეძლო ზეთის საღებავებით ხატვა, რამდენადაც მხატვრობის ზოგიერთი წესი კრისტოფორო კასტელმა შეასწავლა. დახატა თუ არა მან თეიმურაზ მეფე და დედოფალი ხორეშანი, ცნობილი არ არის. სავარაუდოა, რომ ეს დავალება შეასრულა დონ კრისტოფორო დე კასტელმა (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 74, სურ. 1) როდესაც პიეტრო ავიტაბილე ერთმანეთს ადარებდა არკანჯელო ლამბერტისა და კრისტოფორო კასტელის მხატვრულ ნიჭსა და შესაძლებლობებს, აღნიშნავდა, რომ ლამბერტს *'აქვს უნარი მინიატურები გააკეთოს~*, ხოლო კასტელი არის ნამდვილი მხატვარი, *'რომელიც ხატავს ისე კარგად, რომ უყურებ მის ნამუშევრებს და არ გჯერა, რომ მისი ნამუშევრებია~* (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 74, სურ. 1).

6. დავუბრუნდეთ ლევან II დადიანის მიერ ელენეს ირანში გაგზავნის ეპიზოდს. ელენე დიდი ამალითა და ეპისკოპოსების თანხლებით ქართლისაკენ გაისტუმრეს. როსტომ მეფე გაფრთხილებული იყო მის მიერ გამეფებული შაჰ საფის საცოლის სპარსეთისკენ მგზავრობის შესახებ, იგი ელენეს სანახავად დიდი ძღვენით მივიდა, ზარბაზნების გრიალით გორში მიიყვანა და *‘უმშვენიერეს კარავში დააბინავა’*. ათაბაგის ასული შემდეგ თბილისში ჩაიყვანეს, სადაც ასევე დიდი პატივი მიაგეს. თბილისიდან ისფაჰანამდე მგზავრობას სამი თვე მოანდომეს. მათ ყველგან დიდი ზეიმით ხვდებოდნენ (ლიჩინი პ. ა., 2009: 60-61).

ელენე ისფაჰანში ჩაიყვანეს. შაჰ საფი იქ არ იმყოფებოდა, ინდოეთის ლაშქრობისთვის ემზადებოდა. როდესაც მან ელენეს დედაქალაქში ჩასვლის შესახებ გაიგო, ჯარი მიატოვა და სასწრაფოდ დაბრუნდა, დედოფალი სასახლეში მიიწვია და რვა დღის განმავლობაში ზეიმობდა. შაჰმა ელენეს *‘დიდი სიხარული მიანიჭა, რამდენიმე ქალაქის გარდა, დიდძალი თანხა უბოძა საყიდლებისა და დროს გასატარებლად... უფალმა ინება, ხელმწიფე-მეუღლე მოკლე ხანში ლოგინად ჩავარდნილიყო და სულ მალე თავის საყვარელი დედოფლის ხელში დაეღია სული... ასე მომწერა ელენემ, - გადმოგვცემს კასტელი, - ხოლო საჭურისებმა, რომლებიც თან ახლდნენ ელენეს სასახლეში, გადმომცეს, რომ შაჰმა სიკვდილის წინ ის ისე გამოაცხადა დედოფლად, რომ ხორციელად არ შეუცვნიან’* (ლიჩინი პ. ა., 2009: 61).

ფრიად საეჭვოა კრისტოფოროს ნათქვამი იმ საჭურისების შესახებ, რომლებიც ელენეს შაჰის სასახლეში ახლდნენ. კასტელის ნათქვამს ისე ვერ გავიგებთ, რომ ისინი საქართველოში ჩამოვიდნენ და აქ უამბეს ელენეს თავგადასავლით დაინტერესებულ მისიონერს საქორწინო ზეიმისა და შაჰის სიკვდილის დეტალები. როგორც ჩანს კასტელს ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა საჭურისების უფლებების და მათი გადაადგილების შეზღუდულობის შესახებ. რაც შეეხება როგორც კასტელის წერილებიდან ვიცით, მისი სპარსეთში ყოფნა, გამორიცხული იყო. მამასადმე უნდა გამოირიცხოს კასტელის რაიმე სახის კონტაქტი ელენეს მცველ საჭურისებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე დარწმუნებით უნდა ითქვას, რომ რასაც კრისტოფოროს კასტელი ელენეს საქორწინო ზეიმისა და შაჰ საფის სიკვდილზე გადმოგვცემს, მის შეთხზულია.

7. საფი გარდაიცვალა 1642 წლის 12 მაისს და დაკრძალეს ყუმში. მისი სიკვდილის გარემოებასთან დაკავშირებული საინტერესო ცნობა შემოგვინახა არკანჯელო ლამბერტიმ: *‘სამეგრელოში ვინც ბევრს დაღევს ისე, რომ გონება არ დაჰკარგოს, ის დიდ კაცად მიაჩნიათ. ჩემს დროს იქ იყო ერთი დიდებული, რომელიც ისე გამოჩენილი იყო სმაში, რომ მისი სახელი მთელს ირანშიც გავრცელდა. მისი ქება თვით ირანის ხელმწიფის, შაჰ სეფის, ყურამდიც მივიდა. ამ ხელმწიფემ კაცი გამოუგზავნა დადიანს და შემოუთვალა, რომ გავიგე შენს სამთავროში ასეთი გამოჩენილი მსმელი გყოლია და გთხოვ გამომიგზავნო. დადიანმა დაუყოვნებლივ გაატანა იგი სპარსეთში შაჰის ახალგაზრდა საცოლოს, რომელიც იყო ათაბაგის სახლის შვილი და ისიც მიემგზავრებოდა ირანში. სასურველ ადგილზე, რომ ჩავიდნენ ისინი, შაჰი ერთი-ორად იყო მოხარული, რადგან მიუვიდა ახალგაზრდა ცოლიც და, შესანიშნავი მსმელიც. ქორწილის გამო მრავალი წვეულება იყო სადაც მუდამ პატიჟობდნენ შედან ჭილაძეს (Scedan Cilaze). ეს იყო მსმელის სახელი და გვარი. ამან იქაც ისახელა თავი და ყველას სჯობნიდა სმაში. ამის გამო მუდამ ჯილდოს იღებდა: „ხან ნაჭედი ოქროთი მოწყობილ უნავირს, ხან მდიდრულ კაბას სიასამურის ტყავის სარჩულით, ხან ოქროთი და ძვირფასი ქვებით შემკულ თოფს და ხან მრავალ სხვა საჩუქარს, რომელსაც უხვი შაჰი აძლევდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით შაჰმა მოინდომა მასთან სმაში შებმა და იქამდე სვა, ვიდრე არ დასნეულდა და სული განუტევა. ჭილაძე კი, საჩუქრებით გამდიდრებული, სამშობლოში დაბრუნდა’* (arqanjelo lamberti, 1938: 49-50).²

² შედან ჭილაძის სპარსეთში ჩადენილ *‘გმირობა’* ამერიკელი პროფესორის მეთიუ რუდოლფის აზრით, *‘ეს ამბავი შეიძლება იყოს „აპოკრიფული“, რადგან ალკოჰოლმა მართლაც მოკლა საფი, მაგრამ არა სასმელში შეჯიბრის გამო, ეს აჩვენებს, რომ ქართული ადათ-წესები ირანშიც გავრცელდა’* (Matthew, Rudolph P. 2005: 43))

საყურადღებოა, რომ კრისტოფორო იცნობდა შედან ჭილაძეს, რომელიც დაუხატავს კიდეც და ასეთი მინაწერი გაუკეთებია: *'ჩვენი კეთილისმყოფელი შედან ჭილაძე, ყველაზე დიდი თავადი საქართველოში'* (კრისტოფორო კასტელი, 1976: 100, სურ. 89) საკვირველია, რომ მისიონერი სხვას არაფერს ამბობს შედან ჭილაძეზე, თუმცა მისი და მისი ცოლის პორტრეტები კი დაგვიტოვა (კრისტოფორო კასტელი, 1976: 100, სურ. 66: *'შედანის მეუღლე კაროშან ჭილაძე'*; სურ. 89: *'შედან ჭილაძე'*).

დავუშვათ, შედან ჭილაძე, კასტელისა და სხვა მისიონერების *'კეთილისმყოფელი'* გააყოლეს სპარსეთში მისი მზრუნველობის ობიექტს ელენე ათაბაგს, რის შესახებ იცის არკანჯელო ლამბერტიმ, მაგრამ არ იცის კრისტოფორო კასტელმა, რაც ძნელად დასაჯერებელია. ასევე ძნელად დასაჯერებელია, რომ არკანჯელო ლამბერტი ლაპარაკობდეს დასავლეთ საქართველოში სახელგანთმულ შედან ჭილაძეზე, რომელიც მთელ *'აღმოსავლეთში'* ულამაზეს შაჰის სადედოფლოდ სახელდებულ ელენეს გააყოლეს და ამ უკანასკნელს არ ასახელებდეს. მით უმეტეს, რომ შადენისა და მისი მეუღლის კაროშანის პორტრეტები დახატა

რადგან შაჰ საფი ისე მოკვდა, რომ მან ვერ შესძლო ელენეს ხორციელად შეცნობა, თუ ეს ცნობა მართალია, მაშინ ლოგიკურია, რომ ის არ აღიარეს შაჰ სეფის ცოლად,

8. საინტერესოა, როდის გაიგეს საქართველოში შაჰ საფის სიკვდილის შესახებ? თუ გავითვალისწინებთ, რომ XVII ს. 30-ანი წლებიდან როსტომ-ხანის ქართლში გამეფებას და ოდიშის სამთავროს სპარსეთთან საკმაოდ მჭიდრო კავშირს, სპარსეთსა და საქართველოს შორის მიმოსვლა ინტენსიური და შესაბამისად ამბის მიმომტანნიც საკმაოდ იქნებოდნენ. ეგეც არ ყოფილიყო, სამშობლოში დაბრუნებული შედან ჭილაძის მონათხრობიც საკმარისი იქნებოდა შაჰის სიკვდილის სურათის სრულად წარმოდგენისათვის.

საფი გარდაიცვალა 1642 წლის 12 მაისს და ამ უნიჭო მმართველმა თავის მემკვიდრეს, აბას II-ს ბევრი პრობლემები დაუტოვა, რომლებზეც გაკვრით უკვე ითქვა. მხოლოდ იმის დამატება შეიძლება, რომ ყიზილბაშების გავლენა შეკვეცა სეფიანურ ბიუროკრატიაში, (Roemer, H.R.. 1986, 285) და ამის ნაცვლად დაუშვა კონკუბინების,³ საჭურისებისა და ღულამების⁴ კოალიცია მისი მეფობის ბოლო ათწლეულის განმავლობაში (Roemer, H. R. 1986, 287).

საფი სპარსეთს განაგებდა 1629-1642 წლებში. მისი მმართველობა და პიროვნული თვისებები იმდენად არ შეესაბამებოდა ქვეყნის ინტერესებს, რომ მისი მეფობის მთელი პერიოდი აღინიშნა გაუთავებელი აჯანყებებით, რეპრესიებით და ოსმალეთთან წარუმატელი ომით. დაისაჯა დინასტიის მრავალი წარმომადგენელი, შაჰ აბასის დროინდელი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეები, ითქვა, რომ მისი მსხვერპლი იყო ცნობილი იმამყული-ხან უნდილაძის ოჯახის მრავალი წარმომადგენელი (მამისთვალისშვილი ე. 2022: 287-332). ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ იგი მცირე ყურადღებას აქცევდა მთავრობის საქმიანობას და არ გააჩნდა კულტურული ან ინტელექტუალური ინტერესები, წესიერად წერა-კითხვაც კი არ იცოდა, ამჯობინებდა ღვინისა და ოპიუმის ხმარებას.

როგორც საფის ბიოგრაფები წერენ, მას სამი ცოლი ჰყავდა:

ა) ანა ხანუმი, ჩერქეზი, შაჰის მონის ურგურლუ ბეგის ქალიშვილი, გარდაიცვალა 1647 წლის 9 სექტემბერს (Babayan K. 1993: 119, 123).

³ ინგლისური ტერმინები „კონკუბინა“ და „კონკუბინაჟი“ გაჩნდა მე-14 საუკუნეში, რაც ნიშნავს „მეთაურს, ქალს, რომელიც თანაცხოვრობს მამაკაცთან ქორწინების გარეშე“, რომაულ სამართალში აღნიშნავენ „ის, ვინც გაუთხოვარი ცხოვრობს დაქორწინებულ მამაკაცთან ან ქალთან“.

⁴ ღულამები - (არაბული - ყმაწვილი, მონა), შუა საუკუნეების მუსლიმანი მმართველების ცხენოსანი გვარდია, შემდგარი მონებისგან (სინონიმი - მამლუქები). სამსახურში დაწინაურებული ღულამები სახელმწიფოს უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს, ზოგჯერ კი ტახტსაც იკავებდნენ.

ბ) ფარსადან გორგიჯანიძის 'საქართველოს ცხოვრებიდან' (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 311-312) შედარებით მეტი ვიციტ კახეთის მეფე თეიმურაზ I-ის ასულ თინათინზე, რომელიც შეეძინა დედოფალ ხორეშანისგან. თინათინის სპარსეთში გაგზავნას ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: 1634 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულმა ქართლის თავადებმა ტახტზე თეიმურაზის დაბრუნება განიზრახეს. მან მიწვევა მიიღო, მაგრამ დამარცხდა და მხოლოდ კახეთის ტახტით დაკმაყოფილდა. როსტომმა დიდი ჯარით გაილაშქრა თეიმურაზის წინააღმდეგ და დაამარცხა. თეიმურაზმა როსტომს მოციქულები გაუგზავნა და შერიგება და შაჰთან შუამდგომლობა სთხოვა. თეიმურაზი შაჰს, შერიგების შემთხვევაში, თავისი ქალიშვილის თინათინის მიცემას შეჰპირდა. როსტომმა ყოველივე შაჰს აცნობა, რომლისგანაც ასეთი ბრძანება მოვიდა: *'თქვენი შერიგება გვიამაო, კარგი გიქნიათო და ბატონი(ს) შვილი თინათინ დიდის პატივით გამოისტუმრეთო...'* როსტომ მეფემ, ვითაც თავისი ასული, სა^აემწიფოს მორთულობითა და მრავლის შეკაზმულობით თავის ვეზირი ალა მოინა თან გაატანა და კახთაგანც მდიდარნი თავადნი თან გაატანეს და ბატონის შვილი თინათინ შაჰ სეფი ყაენს მიჰგვარეს და ^აემწიფემ კარგის თვალთ ნახა და დიდნი პატივნი მიაპყრო და მრავალი თვალ მარგალიტი უბოძა... ბატონს თეიმურაზს ათასი თუმანი თეთრი და ათასის თუმნის ^აალათი გაუგზავნეს და კარგი საიმედო რაყამი მისწერეს, ასე რომ: *'რაც ამას წინათ შეგიცოდებიაო, ყველა შეგვინდვიათო და ამას უკანო შენ და როსტომ მეფე შერ(ი)გდითო. ჩვენ გვეამებისო და ორთავ მრავალს წყალობას გიზამთო...'* და ასრე კიდევ მეფის როსტომისათვის ებძანა' (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022: 311-312) შაჰ საფიმ თინათინი (1610-1642) შეირთო 1637 წელს.

გ) შაჰ საფის მესამე ცოლი იყო ჩერქეზი ბიკას ასული, და თავადი მუსალის და (Babayan K., 1993: 123).

სრულიად კანონზომიერია, რომ შაჰ საფის ცოლებს შორის ელენე დასახელებული არ არის. სხვა გარემოებებს თავი რომ დავანებოთ, ისიც საკმარისია, რომ კრისტოფოროს მიხედვით, ქორწინება წესისა და რიგის შესაბამისად არ დასრულდა. როგორც კრისტოფოროს წერილებიდან ჩანს, ის ელენეს სპარსეთში გამგზავრების შემდეგაც კავშირს ინარჩუნებდა მასთან და ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ პრაგმატული მოსაზრებით სურდა მასთან სპარსეთში წასვლა, სადაც იქნებოდა ელენეს მრჩეველი და მისი დახმარებით ისფაჰანში დააარსებდა თეატინელთა მისიონს, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა. ასეთი ფანტაზია ჰქონდა მას მაშინ, როდესაც პიეტრო დელა ვალეს სთხოვდა შუამდგომლობას იმათთან რომში, ვისაც ასეთი საქმის მოგვარება, კერძოდ კრისტოფოროს სპარსეთში გაშვება, ხელეწიფებოდათ.

9. პიეტრო დელა ვალე იყო საქართველოში თეატინელთა მისიის დაარსების ინიციატორი, ორგანიზატორი და მფარველი. არავითარი საბუთი არ გაგვაჩნია იმის სამტკიცებლად, რომ მან რაიმე გააკეთა კასტელის თხოვნის დასაკმაყოფილებლად (მიიღო კი კასტელისაგან რაიმე თხოვნა?), პ. ა. ლიჩინმა არქივში ნახა წერილი (APF, FF. 258v-259r. Licini P. A. 2009: 40), რომლის მიხედვით კრისტოფორო კასტელს აცნობებდნენ: *'თქვენი მაღალღირსების წერილი ირანის კათოლიკე დედოფლის თხოვნასა და სურვილზე, რომ თან ჰყავდეს პიროვნება, რომელიც მის სულს წარმართავს, უკვე მოვახსენეთ მისი უწმინდესობის განკარგულებით მამა კლემენტე გალანოსადმი წერილში, ეს შეთანხმებულია. შესაძლებელია, ნებართვა მანამდე გაიცეს თუ ჯუდიჩეს, რომელიც კვლავ ელოდება კონსტანტინოპოლიდან წასვლას, მამა კლემენტესაგან განსხვავებული წერილი არ ექნება, რომლითაც ხსენებული დედოფალი თქვენს მაღალღირსებას სამსახურისათვის აჩქარებს'*. არ ჩანს, ვინ უგზავნის წერილს ადრესატს, არ ჩანს მიიღო თუ არა იგი კასტელმა. ლიჩინის მიერ გამოქვეყნებულ კასტელის წერილებში ამის შესახებ ნათქვამი არ არის. პ. ა. ლიჩინს დაუჯერებლად მიაჩნდა, რომ წერილმა კასტელამდე ვერ მიაღწია, *'რადგან მამა კასტელის მხრიდან განმეორებითი მოთხოვნა არ ყოფილა'* (ლიჩინი პ. ა., 2009: 40). როგორც ჩანს, პ. ა. ლიჩინის სჯერა რომ კასტელმა წერილი მიიღო და დამალა, მაგრამ იმას არ ამბობს რა უნდა ყოფილიყო წერილის დამალვის მოტივაცია.

ვფიქრობ, რომ კასტელს პიეტრო დელა არც ვალესთვის და არც წმინდა კონგრეგაციისთვის არ გაუზავნია ისეთი წერილები, რომლებითაც სპარსეთში გაშვებას ითხოვდა, სადაც ელენეს მხარდაჭერით რომისგან ხარჯების გაღების გარეშე ისფაჰანში მისიონის დაარსების შესახებ. რომში სრულიად საკმარისად მიაჩნდათ სპარსეთში კარმელიტებისა და ავგუსტინელთა მისიონების არსებობა. ბუნებრივია, გაუზავნელ თხოვნაზე პასუხს ვერ მიიღებდა.

კასტელმა და საქართველოში მყოფმა მისმა კოლეგა მისიონერებმა იცოდნენ, რომ თეატინელთა მისიონი საქართველოში მხოლოდ ერთგან, გორში უნდა დაარსებულიყო, ისიც პიეტრო დელა ვალეს ინიციატივით, სხვა ქვეყანაში, კერძოდ, ირანში მისი დაარსება არ იყო გათვალისწინებული. ამიტომ, ვიმეორებ კრისტოფორო პაპსა და წმინდა კონგრეგაციას ასეთ თხოვნას ვერ გაუზავნიდა, ნება მიეცათწასულიყო სპარსეთში და იქ უნდა აღნიშნოს, რომ მართალია საქართველოში თეატინელების მისიონის რეზიდენცია გორში იყო, მაგრამ პატრები შემდეგში მოღვაწეობდნენ ქართლის გარდა გურიაში, სამეგრელოსა და იმერეთში, მაგრამ ისინი ემორჩილებოდნენ გორის მისიონს.

10. კრისტოფორო კასტელის წერილებიდან ვიგებთ, თითქოს ელენე შაჰ საფის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრის შაჰ აბას მეორის (1642-1666) ცოლი გახდა, და, როგორც ქვემოთ მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ელენესა და კასტელს შორის, კონტაქტი მიმოწერის დონეზე მაინც, გრძელდებოდა.

კასტელის თქმით, მისი ირანში გაშვება მოიწადინა ურბან VIII-ს შემდგომმა პაპმა ინოჩენციო X-მ (1644-1655). აი, რას სწერს კასტელი: *'ინოჩენციო X-ს სურდა ჩემი ირანში გაგზავნა, რადგან ხელმწიფე და დედოფალი (აბას II და ელენე – ე. მ.) მთხოვდნენ იქ წასვლას, რათა დამეარსებინა ერთი რეზიდენცია. მე კარგი დამოკიდებულება მქონდა დასახელებულ გვირგვინოსნებთან იმ სათნოებით, რომელსაც მე ვაღიარებდი, შემძღო მძიმელო ეკლესია, ადგილი და ცხოვრების საშუალებანი ჩვენი მშობისათვის, და იქ [სპარსეთში] რასაც ხელმწიფე იძლევა, მისი მემკვიდრეებიც ადასტურებენ ხოლმე~* (კრისტოფორო კასტელი, 1976: 60). რა თქმა უნდა, ამონარიდში მონათხრობი კრისტოფოროს ფანტაზიაა. მისივე მიხედვით, ელენე დაჟინებით სთხოვდა რომის პაპს ურბან VIII-ს მის გაშვებას ირანში. ამის შემდეგ კასტელმა, ვითომდა ელენესგან წაქეზებულმა დაიწყო წერილების გაგზავნა რომში თავის უფროსებთან სპარსეთში წასვლის ნებართვის მოსაპოვებლად. როგორც იმავე წერილის დასასრულს კრისტოფორო ამბობს, „მას ბევრი ნიშანი ჰქონდა იმისა, რომ უფალი უხმობდა სპარსეთში, მაგრამ რათა მოტყუებული არ დარჩეს, განიზრახა ყოველგვარი არგუმენტი წარედგინა მამა ლორენცო მედიჩისათვის, რათა გაეგო, მოიწონებდა თუ არა მისი სპარსეთში წასვლის სურვილს. მისი მზადყოფნა სპარსეთში გამგზავრების თაობაზე იმ სიტყვებში, რომლებითაც მთავრდება დასახელებული წერილი: *'გამომიგზავნე ყველა საჩუქარი ფულის გარდა, ჩემი ყოვლადწმიდა ჯვარცმაც საკმარისია და ბოლოს, შენს ფეხებთან დაგდებული, გთხოვ, დამლოცო და წარმადგინო უფალთან~* (Bib. Naz., 1642: v. pp. 32-34).

11. გავარკვიოთ ელენეს ასაკი ჯერ იმ დროისათვის, როდესაც იგი შაჰ საფის ცოლი უნდა გამხდარიყო. მამის, მანუჩარ III ათაბაგის (დაიბადა 1591 წ.) გარდაცვალებამდე (1625 წ.) დაბადებული ელენე, კასტელის მონათხრობით, სავარაუდოა, გურიაში ჩაიყვანეს მცირე ასაკის, დაახლოებით 10 წლის ან უფრო მეტის უნდა ყოფილიყო. ამას მაფიქრებინებს კასტელის მონათხრობი. 1642 წელს 22 მარტს მამა სტეფანო მედიჩისა და მამა ფრანჩესკო ბოლვიტოსთვის განკუთვნილ ორ წერილში. ის აღნიშნავდა, რომ როდესაც ელენე გაიგნო (1634 წ.) ის ჯერ კიდევ არასრულასაკოვანი (minoribus) იყო: *'... შესაბამისად შემძღო მისთვის მემსახურა. კიდევ ექვსი ან მეტი წელი მე დავრჩი გურიაში, ის კი იზრდებოდა, რათა მომზადებულიყო გასათხოვრად~* (Arch. Gen. Teatin, 1642. Licini P. A. 1980: 47). კასტელი ელენეს არასრულასაკოვანებაზე ყურადღებას ამახვილებს ორი ადრესატივისთვის გამიზნულ წერილებში, ერთი – მამა დონ სტეფანო მედიჩისათვის (იხ. სქოლიო 27), მეორე კი, მამა ფრანჩესკო ბოლვიტოსთვის. იმისათვის, რომ ელენე სრულ ასაკოვანად ჩათვლილიყო, ქართული ტრადიციით და კანონმდებლობით, 13-14 წლის უნდა გამხდარიყო (გუგუშვილი, 2022: 264-267). მაშასადამე, 1634 წელს, როდესაც ელენე

კრისტოფორომ გაიციანო, იქნებოდა 7-8 წლის, ხოლო მაშინ, როდესაც ისფაჰანში ჩაიყვანეს (1642 წ.) 15-16 წლის. კრისტოფოროს, რომ თუნდაც იტალიური ტრადიციით ეხელმძღვანელა, განსხვავება თითქმის არ იქნებოდა, რადგან დასავლეთ ევროპაშიც, როგორც წესი, ქალის გათხოვების ასაკი იწყებოდა 14 წლიდან.

ეხლა ვცადოთ გავარკვიოთ, როგორი ასაკობრივი თანაფარდობა იყო ელენესა და აბასს II-ს შორის, რა ხნის უნდა ყოფლიყო აბასი, როდესაც საფი გარდაიცვალა და ელენე მან შეირთო.

ჯერ გავიხსენოთ აბას II-ის მამის, შაჰ საფის ასაკი: საფი დაიბადა 1611 წელს. პაპის (შაჰ აბას I) გარდაცვალების (1629 წ.) და თავის გამეფების დროისათვის იგი 17-18 წლის იქნებოდა. საფიმ იმეფა 13 წელი, იგი გარდაიცვალა 1642 წლის 13 მაისს და მაშინვე (15 მაისი) გამეფდა შაჰ აბას II, დაბადებული 1632 წლის 31 დეკემბერს. გამოდის, რომ აბასი გამეფებისას დაახლოებით ცხრანახევარი წლის უნდა ყოფილიყო.

აბასის გამეფება ტრაგიკული იყო მისი ოთხი ძმისთვის. იმავე 1642 წელს ისინი დააბრმავეს, რათა მათ არასოდეს გასჩენოდათ ტახტის დაკავების სურვილი.

როგორც ჩანს, ელენესა და აბას მეორეს შორის საკმაოდ ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ფეოდალიზმის პერიოდის სამეფო დინასტიებისა და დიდკაცობის საქორწინო ურთიერთობებს, საკმაოდ ვნახავთ საქორწინო წყვილების ბუნებრივი და კანონმდებლობით განსაზღვრული ასაკის არდაცვას, ზოგჯერ არც გარეგნობას და ჯანმრთელობასაც კი, არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ კი ასეთი საქორწინო გარიგებით ორივე, ან თუნდაც ერთ-ერთი მხარე, პოლიტიკურ ან მატერიალურ სარგებელს მოელოდა. ასე, რომ გასაკვირი არ არის ასაკით უფროსი ელენე ასაკით უმცროსი აბასისათვის ფორმალურად შეერთოთ, თუ ამით სპარსეთი თავის გავლენას გაავრცელებდა სამცხეში და ანტიოსმალური ძალა გაძლიერდებოდა.

შაჰ აბას II-ემ მეფობის ბოლო ათწლეულის განმავლობაში სექსუალური აქტივობებისა და სმისთვის მიატოვა სახელმწიფო საქმეები (Matthee, Rudi, 2012). თავიდან, როგორც ჩანს, მისი გამუდმებული ლოთობა გავლენას არ ახდენდა ქვეყნის მმართველობაზე, მაგრამ ნელ-ნელა მისი ასეთი მდგომარეობა ქრონიკული გახდა. აწყობდა მდიდრულ წვეულებებს, რომელთა შემდეგ ორი-სამი კვირით პუბლიკას ემალებოდა (Matthee, Rudi, 2015). საბოლოოდ, 1666 წლის 26 ოქტომბერს, თავის ზამთრის ქალაქში, ბეჰშაჰრში ყოფნისას, აბას II გარდაიცვალა სხვადასხვა დაავადებებისგან, მათ შორის სიფილისისა და ყელის კიბოთი (Matthee, Rudi, 2015). დაკრძალეს ყუმში. ტახტი დაიკავა მისმა უფროსმა ვაჟმა სემ მირზამ, რომლის დედა იყო ქართველი ხარჭა, სახელად ნაკიჰათ ხანუმი (Matthee, Rudi, 2015).

12. დავანებოთ თავი ზემოთ გამოთქმულ ვარაუდებს ელენეს და აბას II-ის ასაკის შესახებ, და გადავიდეთ ელენეს პიროვნების გარკვევაზე, რა ვიცით მის შესახებ, ვისგან ვიცით და, შეძლებისდაგვარად დავადგინოთ, რამდენად შეეფერება ეს ყველაფერი სინამდვილეს.

პირველი ვინც ქართულ ისტორიოგრაფიაში ელენეს და კრისტოფორო კასტელის ურთიერთობით დაინტერესდა, იყო საქართველოზე არსებული ევროპული წყაროების დიდი მცოდნე და მომპოვებელი პატრი მ. თამარაშვილი. ის ეყრდნობოდა მხოლოდ კრისტოფოროს მონათხრობს და იმის ჩვენება უნდოდა, რომ კრისტოფორომ ელენე აზიარა კათოლიკობას, რომელიც შემდეგში შაჰის ცოლი და ფორმალურად მუსლიმანი გახდა, მაგრამ მაინც ინარჩუნებდა ერთგულებას კათოლიკობისა და კრისტოფოროს მიმართ.

კრისტოფოროს მონათხრობის მიხედვით, ელენეს გათხოვების თუ მძევლად მიცემის საკითხმა პოლიტიკური ელფერი შეიძინა. მისი ხელში ჩაგდებისათვის ერთმანეთს ეჯიბრებოდა საქართველოს მეზობელი ორი იმპერია – სპარსეთი და ოსმალეთი. არ შეიძლებოდა დასახელებული ქვეყნების ქრონისტებს, კარის ისტორიკოსებს ყურადღება არ მიექციათ სპარსეთის ან ოსმალეთის დედოფლობის კანდიდატესათვის, შემდეგ კი გადედოფლებული ელენესთვის. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ჩვენამდე მოღწეულია ირანის სეფიანი შაჰების დედების, ცოლების შესახებ თუნდაც ფრაგმენტული

ინფორმაცია მათ წარმომავლობაზე, გამუსლიმანებამდე სახელებზე, მათი შვილების სქესსა, სახელებზე და ა. შ., მეტწილად ცნობლია.

კრისტოფოროს პათოსს თუ გავიზიარებთ, თუ გავითვალისწინებთ სპარსეთისა და ოსმალეთის ელჩების აქტიურობას ოდიშის სამთავროში ელენეს ხელში ჩაგდებისათვის (Licini P. A. 1980: 36, 40, 47-49, 52, 78), არ შეიძლება ასე უკვალოთ გამქრალიყო ათაბაგის ასულის სახელი – ელენე, მით უმეტეს თუ ის ჯერ შაჰ საფის საცოლე იყო, მერე კი შაჰ აბას II-ის ცოლი და შესაბამისად, სპარსეთის დედოფალი. რა იქნა ის წერილები, რომლებითაც, კრისტოფოროს თქმით, ელენე და აბასი მას სპარსეთში ეპატიჟებოდნენ, ის წერილები, რომლებსაც რომში აგზავნიდა და პირად სიკეთესთან ერთად ისფაჰანში თეატინელების მისიონის დაარსებასაც პირდებოდნენ? რა იქნა იმ წერილების პასუხები, რომლებსაც ის უგზავნიდა სხვადასხვა ადრესატებს და უყვებოდა ელენე ათაბაგზე. მაგრამ კრისტოფოროს, როგორც ის წერდა, მიზნის განხორციელებას ხელი შეუშალეს მისმა თეატინელმა უფროსებმა, როგორც ოდიშის სამთავროში, ისე წმ. კონგრეგაცია დი პროპაგანდა ფიდეს ხელმძღვანელებმა რომში. კასტელმა მისადმი ასეთი მოპყრობის შესახებ უკმაყოფილება გამოსთქვა ერთმანეთისგან საკმაოდ დროის შუალედით შედგენილ ორ, 1642 და 1647 წლის წერილებში. პირველი წერილი გამიზნულია პიეტრო დელა ვალესათვის, რომელსაც კრისტოფორო სთხოვს მხარი დაუჭიროს თეატინელთა ორდენის გენერალთან და წმ. კონგრეგაცია დი პროპაგანდა ფიდეს მდივნის, ეპისკოპოს ინგოლის წინაშე, რათა მათ კრისტოფორო გაუშვან სპარსეთში. იმავე წერილში კრისტოფორო იმასაც აღნიშნავს, რომ წერილს გაუგზავნის ეპისკოპოს ინგოლისაც ანალოგიური თხოვნით (Andreu C.R., 1951: 134-136).

კრისტოფორო კასტელის 1646 წლის 20 ნოემბრის წერილიდან ვიგებთ, რომ იმავე წლის 25 აგვისტოს ოდიშში ჩავიდა სპარსეთში მიმავალი ორი ელჩობა – ერთი პოლონეთის მეფისა, მეორე იმპერატორის, რომლებსაც მიუძღვოდა დომინიკანელი პადრე ფრა ჯოვანი და ლუკა, რომელსაც კრისტოფოროს წაყვანაც შეეძლო. კასტელი თანახმა იყო წაჰყოლოდა მას სპარსეთში მაგრამ არქანჯელო ლამბერტიმ გაუწია წინააღმდეგობა და იძულებული გახდა დარჩენილიყო, მხოლოდ წერილი გაატანა ელჩობას დედოფალთან. ამავე წერილში სწუხს კრისტოფორო, რომ უკვე ოთხი წელია რომიდან წერილი არ მიუღია (Licini P. A. 1980: 80).

განსაკუთრებით საინტერესოა მეორე, 1647 წლის წერილი, რომელსაც ადრესატი არ ჰყავს და მის დასასრულს კრისტოფორო ასახელებს ყველას, ვინც ვითომ ხელი არ შეუწყო სპარსეთში წასვლაში, ელენეს სიახლოვეს ყოფნასა და სპარსეთში თეატინელების მისიონის დაარსებაში. კრისტოფორო წერდა: *'ფრიად პატივცემული მამა გენერლისაგან პასუხი არ ჩანდა. შეიძლება ის დიდ გზაზე დაიკარგა. ზოგიერთი ამბობდა, რომ, მათი აზრით, საქართველოს დატოვება და სხვა ქვეყანაში წასვლა კარგი არ იქნებოდა, ან დამიძალეს ეს და უნდა ვიფიქრო, რომ კარგი განზრახვით გააკეთეს. მივიღე მითითება მისი უწმინდესობისაგან, წმ. კონგრეგაციის პრეფექტის კარდინალ ონოფრიოსაგან, რომელმაც ისურვა, სპარსეთში წავსულიყავი და ჩვენი მამებისადმი ერთგულების გამო ამ დედოფლისათვის სამსახური გამეწია. კარდინალს ამ დედოფლის კეთილმოქმედებაზე, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ არ მიეტოვებინა ქრისტიანული სარწმუნოება, წერდნენ... მათ არ სურდათ, რომ სამეგრელოდან სპარსეთში წავსულიყავი. ამ დროს კი მიემგზავრებოდა ელჩი რომელმაც შემომთავაზა, მესარგებლა ამ შემთხვევით და მას სპარსეთში გავყოლოდი, სადაც ყოველგვარი ხარჯის გარეშე შეიძლებოდა რეზიდენციის დაარსება, რომელიც გამოადგებოდათ საქართველოში და ინდოეთში მყოფ მისიონერებს...'* (ლიჩინი პ. ა., 2009: 62-63).

13. დაზუსტებას მოითხოვს პ. ა. ლიჩინის მოსაზრება, რომ 1647 წლის წერილში გადმოცემული *'ამბავი მოხდა 1642 და 1643 წლებს შორის, მაგრამ მამა კასტელის მახსოვრობამ უღალატა და პალერმოში დაბრუნების შემდეგ ეს ამბავი 1647 წელს მიაკუთვნა. ათაბაგის ლამაზი ქალიშვილი შემდგომში სპარსეთის დედოფალი გახდა'* (ლიჩინი პ. ა., 2009: 53, სქ. 25). ფრანჩესკო ენდრიუს მიერ გამოქვეყნებული

კრისტოფოროს წერილში, რომელიც განკუთვნილია პიეტრო დელა ვალესთვის, დათარიღებულია 1642 წლის 15 მარტით, ამის გამო, ბუნებრივია, რომ მასში ვერ იქნებოდა მოთხრობილი 1643 წლის ამბები. უნდა ვიფიქროთ, რომ პ. ა. ლიჩინი არ იცნობდა ანდრეუს მიერ გამოქვეყნებულ კასტელის 1642 წლის წერილს. ორივე წერილის ერთმანეთთან შედარების საშუალება ეხლა გვაქვს და, ალბათ, ვერ ვიტყვით, რომ ისინი ერთი და იგივე წერილებია. როგორც ჩანს კრისტოფორომ 1642 წელს მომხდარი ამბები, კერძოდ, ელენეს წაყვანა სპარსეთში, მისი საქმროს სიკვდილი, მისი შერთვა აბას II-ის მიერ და სხვ., შეავსო სხვა დეტალებით, მაგრამ ჩემი აზრით, წერილი ფასეულია იმით, რომ კასტელი დაუფარავად გამოთქვამს უკმაყოფილებას მათ მიმართ ვინც მას არ მისცეს სპარსეთში წასვლისა და თავისი გეგმების განხორციელების საშუალება. კასტელი საყვედურს გამოსთქვამს არა თანამედროვეების გასაგებად, არამედ შემდგომი პერიოდის მკითხველისათვის, ქმნის ალიბს რათა დამაჯერებლობა შემატოს ყოველივე იმას, რასაც ელენეზე წერდა. (ეს ინფორმაცია რისი არგუმენტია ელენესთან მიმართებაში? არ ჩანს!)

არსებობს კრისტოფორო კასტელის 1648 წლის 12 ივლისის წერილი, განკუთვნილი კლემენტე გალანოსათვის⁵ კრისტოფორო წერს, რომ სპარსეთის დედოფალმა ელენემ, როდესაც დარწმუნდა, რომ კრისტოფორო ვერ აგვარებდა სპარსეთში წასვლას, ბოლოს და ბოლოს გამოაგზავნა ელჩი ოდიშის მთავარ ლევან დადიანთან თხოვნით, რომ სურს კრისტოფორო მიიწვიოს სპარსეთში. ძნელია იმის თქმა, თვითონ კასტელმა მოინდომა თუ წესი იყო მთავრის კარზე, რომ საჯაროდ განეხილათ უცხოეთიდან მოსული წერილები. კასტელი წერს: *'როდესაც მე წარმოვადგენ წერილებს, ჩვენი ძმა ჯაკომო არგილიოზი და ბატონი ნიკოლო მინგუატი, დასახელებული მთავრის ექიმი, იქნებიან მთავრის კარზე და მოისმენენ იმ თხოვნას, რომლითაც მიმართა... მას [ელენეს] ხსენებულმა ელჩმა. მან განაცხადა, რომ ჩამოვიდა ამ მხარეში რომაული რელიგიის ბერის, სახელად კრისტოფორო კასტელის წასაყვანად, რაზეც მთავარმა უპასუხა, რომ მისი ძალაუფლება არ ვრცელდება კრისტოფოროზე, ამიტომ არ შეუძლია მისი იძულება, და ესეც არ იყოს, არ სურდა კრისტოფოროს გაშვება ოდიშიდან, რომ ის მას სჭირდებოდა.* ~ რამდენიმე თვე სასახლეში ცხოვრების შემდეგ ხსენებული ელჩი წავიდა, ისე, რომ მიზანს ვერ მიაღწია. კრისტოფორო თითქოს როგორც ვარაუდობდა, ნიკოლომ მომხდარის შესახებ აცნობა ელენეს (Licini P. A., 1980: 106).

1647 წლის 16 მარტს დამწუხრებული კრისტოფორო აღნიშნავდა: ვწერ ელენეს, მაგრამ აღარ მპასუხობს, რადგან დავცინოდით და ცუდად ვპასუხობდითო (Licini P. A., 1980: 106).

1648 წლის 28 ოქტომბრის წერილში, რომელიც დაწრილია მესამე პირში, კრისტოფორო უგზავნის ვენეციელი აგოსტინიო დონის, კასტელი იგონებს იმ დროს, როდესაც დასახელებული აგოსტინიო იმყოფებოდა პალერმოში და ჰქონდა საშუალება დასწრებოდა მის ქადაგებას. მამა დონ ჯაკომო ანტონიო არსისგან მაშინ გაიგო, რომ აგოსტინიო დონის უყვარს მხატვრობა, რამაც კრისტოფორო უფრო განმსჭვალა მისადმი სიყვარულით. სთხოვა აგრეთვე, როცა მამა გენერალს წერილს გაუგზავნიდა, მიეწერა ისიც, რომ 1647 წელს დღევანდლამდე თეატინელებმა სამეგრელოში ცხრაასამდე სული მონათლეს. ამის შემდეგ კრისტოფორო გადადის თავის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე და აგოსტინიო დონის აცნობებს, რომ მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში სამეგრელოს (ოდიშის) მთავრის, ლევან დადიანის კარზე იმყოფებოდა სპარსეთის შაჰის ელჩი ერთ-ერთი ჩვენი ბერის წასაყვანად, მაგრამ ბერმა ვერ შესძლო მასთან ერთად წასვლა, რადგან რომიდან არ მოვიდა ბრძანება (რა თქმა უნდა კრისტოფორო თავის თავზე ლაპარაკობს), ამ დროს მთავრის კარზე იმყოფებოდნენ ბატონი ნიკოლო მინგუატი, გაბრიელ სიმონია და ჯაკომო არჯილიოზი მარსილიეზე, რომლებმაც საკანონო ჩათვალეს უცნაურად და

⁵ კლემენტე გალანო სორენტოდან, აღიარება 1628 წლის თებერვალში. სწავლის დასრულების შემდეგ 1636 წელს იგი მამა ფრანჩესკო მარია მაჯოსთან და სხვა თეატინებთან ერთად დაინიშნა იბერიის მისიაში. 1637 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში (ქალაქ გორში). გორიდან გაგზავნეს სამეგრელოში (წიფურიაში) და იქ დარჩა სამი წელი. 1640 წლის ნოემბერში მისი უფროსების ბრძანებით იგი გაემგზავრა კონსტანტინოპოლში. გალანო თავის წიგნში (Dონ ჩლემენტე გალანო, 1690.: 120-184), საუბრობს კოლხეთსა და იბერიაზე (Tabagua Iliia M., 1996: 285).

ყოველივე რაც მოხდა მთავარსა (წერილშია მეფე - Re) და ელჩს შორის, მისწერეს რომში (Licini P. A., 1980: 123).

განხილული წერილების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრისტოფორო კასტელმა დიდი მონდომებისა და მცდელობის მიუხედავად დასახულ მიზანს ვერ მიაღწია, ვერ შესძლო სპარსეთში ელენესთან ჩასვლა და, შესაბამისად ვერც თეატინელთა მისიონის დაარსება.

14. ელენეს და კრისტოფორო კასტელის ურთიერთობაზე საუბრის დამთავრების შემდეგ უნდა ითქვას მონაზონ, და კრისტიანეზე, რომლის პლასტიკური ფიგურის გამოსახვამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა კრისტოფოროს მხატვრობაში. კრისტოფორო დე კასტელის ცნობებისა და ალბომის ქართულად მთარგმნელისა და გამომქვეყნებლის ბ. გიორგაძის მიხედვით, კრისტიანე კათოლიკობაში მოქცეული და შემონაზვნებული ქართველი ქალია (კრისტოფორო კასტელი, 1976: 191, სურ. 540).

იხილავდა რა კრისტოფოროს მიერ სიცოცხლის ბოლოს დახატულ გამოსახულებებს, ბერნადეტე მაიორანა შენიშნავდა, რომ მათში მეორდება თემები, რომლებიც ღიად უკავშირდება კონტრ-რეფორმისტულ იკონოგრაფიას: სამება, ღვთისმშობელი, იესოს გული, ჯვარცმა, ვნების იარაღები ასევე ჩაწერილი სახეებსა და გულში, მფარველი ანგელოზი, სერაფიმე, ექსტაზური სული, გატაცებული სული, ღვთის მოქმედებები ადამიანის გონებაში, შინაგანი ბრძოლები მორწმუნეთა გულში, ევქარისტიის საიდუმლო (bernadete Majorana., 1990: 127).

მონაზონ კრისტიანეს შესახებ პაატა ნაცვლიშვილი თავის კრისტოფორო კასტელისადმი მიძღვნილ შესანიშნავ ესეში წერს: *'დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გამოგონილი ქართველი მონაზონი იტალიელი ბერის გაორების დასტურია, სახელსა და სახეში გაცხადებული. ამ სახესა და სახელს კასტელი მაშინ ირგებს, როცა თავისი ნამდვილი სახითა და სახელით მოქმედება არ შეუძლია. არ არის გამორიცხული, სპარსეთის ქართველი დედოფლისა თუ საქართველოსათვის მხურვალე ლოცვის ექსტაზში იგი მართლა გარდაისახებოდა ქართველ მონაზვნად'* (ნაცვლიშვილი პ., 2012: 10-11).

კრისტიანეს სახელით დაწერილი წერილები ეკუთვნის კასტელს. 'კრისტიანე' კასტელის ფსევდონიმი. სავარაუდოა, კასტელს ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ელენესთვის დაწერილ წერილებში გაესაიდუმლოებინა თავისი ავტორობა. ამას მაფიქრებინებს მთელი რიგი მომენტებისა.

კრისტიანეს და კრისტოფორო დე კასტელის იგივეობაზე მიგვანიშნებს ზედმეტი სახელი 'ინუტილე' (იტალ. *უსარგებლო, გამოსაყენებლად უვარგისი*). კასტელის ზოგიერთ ნახატზე იკითხება შემდეგი წარწერები: *'ძმა ინუტილე ქდაგებს წმინდა სახარებას აღმოსავლეთში'*; *'პაპი ურ-ბან VIII აღაფრთოვანა მორჩილი ძმის უნიტილეს მისწრაფებამ'*; *'მორჩილი ძმა ინუტილე'*; *'წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს განკარგულებით მორჩილი ძმის ინუტილეს მიერ დახატული ის მთავარი...'* *'ინუტილე'*, ამჯერად უნდა მიგვანიშნებდეს იმ პიროვნების თავმდაბლობაზე ვინც ამგვარ ზედმეტ სახელს ატარებს. იქსადაც კრისტოფორო თავის თავს 'ინუტილედ' მოიხსენიებს, ამ სიტყვას წინ უძღვის 'ძმა' (იტალ. *ფრა*), კრისტიანე კი არის 'და' (ლათ. *სორორ - და, მონაზონი*).

კასტელს ერთხელ წასცდა, რომ კრისტიანე/კრისტოფოროს 'ინუტილე' შეარქვა პაპმა ალექსანდრე VII-მ (1655-1667). ასეთი წარწერა გაუკეთა კასტელმა თავის ერთ-ერთ ნახატს, რომელსაც ჰქვია *'ალექსანდრე VII-ის მიერ უსარგებლოდ წოდებული მონაზონი კრისტიანე'* (კრისტოფორო კასტელი, 1976: 160).

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ორივენი, 'კრისტიანე' და კრისტოფორო, ხატავდნენ. ელენესათვის გაგზავნილ წერილში 'კრისტიანე' ელენეს წერს: მხედველობაში უნდა მიგელო შენი გულისათვის რამდენი დავწერე და დავხატეო.

კრისტიანე/კრისტოფორო სხვა დროს კიდევ შეგვახსენებს თავისი მხატვრული ნიჭისა და სამხატვრო საქმიანობის შესახებ (კრისტოფორო კასტელი, 1976: 160).

ჩნდება კითხვა: რატომ ცდილობდა კრისტოფორო ის, რაც სანტიმენტალურ, გადაჭარბებულ მგრძობიარობასთან იყო დაკავშირებული, კრისტინეს სახელით დაეწერა? ვფიქრობ, ეს იტალიელი განათლებული, ჭკვიანი სასულიერო მოღვაწე ხარკს იხდიდა, უხემ ძალაზე დამყარებული ეპოქისადმი; ერიდებოდა გადაჭარბებული გრძობების გამოხატვას თუნდაც ღმერთის წინაშე; ფიქრობდა, რომ ამგვარი სისუსტე ქალისთვის უფრო შესაფერისი იყო. ამის გამო უნდა 'გარდასახულიყო' კრისტოფორო კრისტინედ; ფსევდონიმს კასტელისათვის ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მას ამოფარებულ ავტორს, თითქოს უხერხულობა მოეხსნებოდა ელენესთან გასაგზავნი წერილების არასასურველი პიროვნების ხელში მოხვედრის შემთხვევაში; აღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ითქვას: კასტელს გაორებული გრძობა აქვს თავისი ფანტაზიით შექმნილი ელენე ათაბაგის მიმართ. იგი მოხიბლულია ათაბაგის ასულის სილამზით და სათნოებით. საყურადღებოა, რომ კასტელმა, როგორც დღეისათვის ცნობილი მისი ნახატებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, შექმნა სამი ნახატი: 'ელენე ესაუბრება კასტელს' (სურ. 67); 'სპარსეთის დედოფალი ელენე' (სურ. 68); ელენე გამოსახულია ძვირფასად მორთულ ცხენზე ამხედრებული. 'სპარსეთის დედოფალი ელენე ათაბაგი (სამცხის ათაბაგის მამულის ქალიშვილი)' (სურ. 118).

15. კრისტოფორო კასტელის დამოკიდებულება ელენე ათაბაგის მიმართ, მისი წერილებისა (ძირითადად დათარიღებულებია) და ნახატების (შესრულების დრო უცნობია) მიხედვით, შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად.

კრისტოფორო კასტელი გამოგონილი ელენეს, ქრისტიანობის დამცველს და მისთვის თავგანწირვისათვის მზადყოფის სახეს, დიდი ხნის განმავლობაში, გურიაში ჩასვლის დღიდან წერილებში ხვეწდა. ეს პროცესი, თითქმის რვა წლის განმავლობაში გრძელდებოდა, კრისტოფოროს მიხედვით, ათაბაგის ასულის სპარსეთში „გადედოფლებამდე“. გამუსლიმანებული ელენე არ კმაყოფილდებოდა კრისტოფოროსთან მხოლოდ მიმოწერით და რომის პაპსაც კი სთხოვა მისიონერისათვის სპარსეთში გამგზავრების ნება მიეცათ. კასტელი თავის სურვილებს აცოცხლებს თავისივე ნახატებში. ამ მხრივ საინტერესოა მისი ნახატი – 'ვატიკანში პაპი ურბანო VIII წინაშე კითხულობენ სპარსეთის დედოფლის ელენე ათაბაგის წერილებს'. (კრისტოფორო კასტელი, 1976: სურ. 199 ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, სურ. 199). შაჰ აბას II მხარს უჭერდა დედოფლის ამ სურვილის აღსრულებას, თუ კასტელი სპარსეთში სამუდამოდ გადასახლდებოდა, ელენე და შაჰი დაეხმარებოდნენ თეატინელთა მისიონისა და რეზიდენციის დაარსებაში, მთელ ხარჯებსაც თვითონ გაიღებდნენ. როდესაც ორივე მხარე დარწმუნდა, რომ პაპის, წმ. კონგრეგაცია დი პროპაგანდა ფიდეს კარდინალებისა და სამეგრელოს მისიონის ხელმძღვანელების წინააღმდეგობის გამო, კასტელი სპარსეთში ვერ გაემგზავრებოდა, ამის შემდეგ მან ელენესთან ურთიერთობის სხვა, წარმოსახვითი, შენიღბული ფორმა აირჩია. მეორე პერიოდს შეიძლება დავარქვათ 'კრისტინე (კასტელი) ელენეს წინააღმდეგ'.

16. სიცოცხლის ბოლოს საკუთარ სულთან განმარტოებული, მისტიკასა და ექსტაზში მყოფი კრისტოფორო ქმნის სრულიად ახალ სახეს ადამიანის, რომელიც, მისი გაგებით, არის უმაღლესი ქრისტიანული მორალისა და ზნეობის მონაზონი – კრისტინე, 'ჯვარცმულ ქრისტედ გარდაქმნილი სული' (Bernadete Majorana, 1990.: 122).

უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს კრისტოფორო მის მიერ დახატული კრისტინეს სურათებით. მგონია, მისი პათოსის გასაგებად საკმარისია მხოლოდ სურათების სათაურების დასახელება: 'ქრისტეს განცდებზე ექსტაზში მყოფი კრისტინე'; 'ღრმად მსასობელი მონაზონი კრისტინე'; 'ჯვარცმაზე მტირალი კრისტინე'; 'კრისტინეს გულმხურვალე ლოცვა ჯვარცმაზე'; 'მონაზონი კრისტინე ლოცულობს'; 'მლოცველი მონაზონი კრისტინე'; 'კრისტინეს სასოებისანი ლოცვა'; 'მტირალი

კრისტინე~; „გულმხურვალედ მლოცველი მონაზონი კრისტინე~; `მლოცველი კრისტინე~. (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 378-381, 384-291).

საინტერესო და ნიშანდობლივია, მონაზონი კრისტინე/კასტელის მიერ ელენე დედოფლისათვის განკუთვნილ ლათინურენოვან წერილში გახმოვანებულია კასტელის ფიქრები და აზრები ელენეს მიმართ. კრისტინემ ელენეს ადრეც `გაუფზავნა~ წერილი, ეხლა კი შეახსენებს, რომ მისი დარწმუნების მიზნით, როგორ დამწუხრებულნი არიან აღმოსავლეთში დები და ძმები, ბევრი დაწერა და დახატა.

‘უძვირფასესო ქრისტეს რჩეულო დაო, გამარჯვება. ვფიქრობ და ხელმეორედ გეუბნები, რომ მხედველობაში მიგელო, წაგვიტახა და გაგეგო თუ როგორ და რამდენი დავწერე და დავხატე შენი გულისათვის. მეორე, ამის დასარწმუნებლად ყველას სახე გიჩვენე, რომ დაინახო თუ რანაირად დამწუხრებულნი არიან შენზე აღმოსავლეთის დები და ძმები დემონის მსახურთა სივერაგის გამო. ‘ვიმედოვნებ სრულიად, რომ ზემოთქმული მტანჯველი ლოდები დამსხვრეულია ნებასურვილის სიმტკიცით, რომელსაც შინაგანად ატარებ თავისში და ვიმედოვნებ, რომ ეს ტანჯვა შენი მომშობიარებაა ან შემბრალებლობის წყაროს წარმომშობი, რის შედეგად ღვთის წყალობის წამლეკავი სიუხვე შენ წამოგაყენებს... ზემოთ დღესასწაულობენ იმათ დღეებს, ვინც ინანიებს ქრისტესაგან განდგომას. ასევე შენთვისაც მოიმოქმედებენ, თუ მსგავსს გააკეთებ. კარგად იყავ~. წერილის დასასრულს კრისტინე პირდაპირ ეუბნება ელენეს, რომ იგი ძალიან გაუფასურებულია კრისტინეს თანამორწმუნეების თვალში, რადგან მან ქრისტიანობა გასცვალა არაფერში (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 378-381, 384-291). კრისტინეს ამ წერილით კრისტოფორო ამთავრებს ურთიერთობას წარმოსახვით ელენესთან. კრისტოფორო გამოდის კრისტინეს ჩრდილიდან და ფარდას ახდის საიდუმლოს: `და კრისტინე მორჩილი ძმის კრისტოფოროს არსებაა~ (‘Suor Christina l’anima di fra Christoforo~. ქრისტოფორო კასტელი, 1976: სურ. 391).

დასკვნა. ათაბაგ მანუჩარ III-ის ასული ელენე არ იცის არც ერთმა ქართულმა დოკუმენტურმა და წარატიულმა წყარომ. საყურადღებოა, რომ მანუჩარ III-ის დედას, ქართლის მეფე სვიმონ I-ის ქალიშვილს ერქვა ელენე, ასე, რომ მოსალოდნელი იყო მანუჩარს თავისი საახელოვანი, ოსმალების წინააღმდეგ მებრძოლი დედის სახელი დაერქმია თავისი ასულისთვის. შეიძლება ასეთი ვარიანტი გაითვალისწინა კრისტოფორომ და გამოგონილ ათაბაგის ასულს ელენე დაარქვა, ხოლო თვით ათაბაგი, როგორც სტატიის დასაწყისში უკვე ითქვა, არასწორად, შეგნებულად მუსლიმანობა დააბრალა, რაც ვითოდა თავისი სამთავროს შენარჩუნების მიზნით ჩაიდინა. ამგვარად კასტელმა ათაბაგი მანუჩარი და „მისი ასული“ პოლიტიკური და რელიგიური ძალადობის მსხვერპლად აქცია.

რატომ არ ახსენებენ ელენეს კასტელთან ერთად გურასა და სამეგრელოში მყოფი სხვა მისიონერები, მაშინ, როდესაც თვით კასტელი აღნიშნავდა მათს წვლილსაც ათაბაგის ასულის აღზრდასა და კათოლიკობაზე მოქცევაში?

ათაბაგის ოჯახის ასულს, სახელის _ ელენეს გარეშე, ახსენებს არკანჯელო ლამბერტი სპარსეთს მიმავალ შედან ჭილაძესთან ერთად, მაგრამ ამჟამად შეუძლებელია იმის დადგენა რომელი ათაბაგის ასული იყო ის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის შეიძლებოდა არც ყოფილიყო მანუჩარ III ათაბაგის შვილი. თუ ის კასტელის ელენე იყო, რომელზე ამაგი არკანჯელო ლამბერტისაც ჰქონდა, საკვირველია, რომ იგი მის სახელს არ ამბობს.

ელენეს პიროვნებასა და მისი ცხოვრების მომენტებზე არაფარია ევროპულ და სპარსულ მეცნიერულ და პოპულარულ იმ ნაშრომებში, რომლებიც მეტ-ნაკლებად ასახავენ XVII საუკუნის პირველი ნახევრის სეფიანთა დინასტიის შაჰების ცხოვრებას. კარის ისტორიკოსები ვალდებულნი იყვნენ აღეწერათ ყველა შაჰის ცხოვრება და მოღვაწეობა, მიუხედავად იმისა, როგორ შეხედავდნენ და შეაფასებდნენ მათ მომავალი თაობები.

მნიშვნელოვანია, რომ ელენე ათაბაგის არსებობაზე არაფერი იცის ქართულმა დოკუმენტურმა წყაროებმა, საისტორიო მწერლობამ, ზეპირსიტყვიერებამ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, მეტი ცნობები შემოგვინახეს სპარსეთის, ოსმალეთის და იმ ევროპული სახელმწიფოების ქრონიკებმა და საისტორიო თხზულებებმა საქართველოსა და ქართველების შესახებ, ვიდრე ქართულმა წყაროებმა და საისტორიო ლიტერატურამ, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში და მიზანდასახულობით იქმნებოდა.

აღინიშნა, რომ პ. ა. ლიჩინმა ბევრი იშრომა კასტელის საარქივო მასალების გამომზეურებისათვის, მაგრამ, რაც მოიძია და გამოაქვეყნა, იმით კითხვის ნიშნები არ ამოიწურა. ელენეს საკითხი ბუნდოვანი დარჩა. ასევე ითქმის ბერნადეტე მაიორანას წიგნზეც, რომელიც მიზნად ისახავდა კასტელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველმხრივ შესწავლას, მაგრამ ელენე ათაბაგის საკითხი ღია დარჩა, რამდენადაც მისი შესწავლა არ განუზრახავთ. ბერნადეტე მაიორანამ, როგორც ჩანს, არქივებში ეძება დამატებითი მასალები და ფლორენციაში მედიცის არქივში ნახა მხოლოდ სამი წერილი, რომლებშიც აისახა ლევან დადიანისა და იმერეთის მეფე ალექსანდრე მესამის ურთიერთობა ტოსკანის ერცჰერცოგ ფერდინანდო მეორესთან (ლევან დადიანი – ერცჰერცოგ ფერდინანდ II-ს, 1649 წ. 3 მაისი; ფერდინანდ II – იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ს 1651 წ. 11 აპრილი; ალექსანდრე III – ფერდინანდ II-ს, უთარილო). დასახელებული წერილები ფერდინანდოს ჩაუტანეს ფლორენციაში არკანჯელო ლამბერტიმ და კრისტოფორო კასტელიმ (Bernadete Majorana, 1990: 66, 67, 267; მამისთვალიშვილი ე., 2024 ა: 226-244).

ორივე მკვლევრის – პ. ა. ლიჩინისა და ბერნადეტე მაიორანას მსჯელობიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მათთვის მისაღები და სრული ჭეშმარიტებაა ის რასაც კასტელი მოგვითხრობს ელენეს შესახებ. კასტელის წერილებისადმი ასეთი მიდგომა ნათლად ჩანს წერილების კომენტირებისას, როდესაც მათ არც ერთი კითხვა არ დაუსვამთ ელენეს პიროვნების გასარკვევად.

შაჰ საფისათვის სამეგრელოდან საცოლოდ ათაბაგის სახლის შვილის გაგზავნის შესახებ, მოცემულია არკანჯელო ლამბერტის თხზულებაში (არკანჯელო ლამბერტი, 1938: 49-50). მაგრამ არაფერია ნათქვამი რომელი ათაბაგის ქალიშვილი იყო, რა ერქვა, რა ხნისა იყო, გახდა თუ არა ის სპარსეთის დედოფალი. მისი შემდგომი ბედიც უცნობია. რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერება ელენე ათაბაგის სპარსეთის დედოფლობა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ კასტელის დაწერილი. სპარსელი ისტორიკოსები, რომ აღარ დავიმოწმით, ალბათ საკმარისია, იმის აღნიშვნა, რომ ელენე ათაბაგის შესახებ არაფერს გვამცნობს ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე (ფარსადან გორგიჯანიძე, 2022), რომელც ჯერ სპარსეთის დედაქალაქის, ისფაჰანის ტარულა იყო (რომელიც პასუხისმგებელი იყო გადასახადების აკრეფაზე), შემდეგ სპარსეთის შაჰის აბას II-ის კარზე იშიქაყასი-ბაშის (ცერემონიებისტერის) თანამდებობა ეკავა.

შაჰ საფის ცოლების და მათი შვილების შესახებ სპარსული ქრონიკებისა და ევროპული ლიტერატურის მეშვეობით ბევრი რამეა ცნობილი. შეიძლება ვარაუდის სახით დავუშვათ, რომ ელენე, თუ ის ფიზიკურად არსებობდა, დედოფალი კი არა, ხარჭა იყო, არც შვილები ჰყავდა და ამიტომ მას შაჰის სერალში ჩვეულებრივი ხარჭის დაბალი სტატუსი ჰქონდა, მისი არსებობით დიდად არავინ დაინტერესდებოდა. შაჰ აბას I-ის სერალის ცხოვრების შესახებ საკმაოდ ვიციტ პიეტრო დელა ვალეს წერილების მიხედვით (Pietro della Valle, 1843: II, 350-351). იქ უმეტესად ქრისტიანი ქალები იყვნენ. შაჰ-აბას I დიდის დედა კავკასიელი ქრისტიანი იყო და შვილსაც ქრისტიანი – ქარველი ცოლები ჰყავდა, მათი ვინაობა ცნობილია: მეფე სვიმონ I-ის შვილიშვილი, ლუარსაბ II-ის და თინათინი ანუ ლელა; თეიმურაზ I-ის ასული თინათინი; ხარჭა იყო შაჰ საფის დედა ქართველი დილარამ ხათუნი, არაა ცნობილი მისი ქართული სახელი; ხარჭა იყო აბას II-ის უფროსი ვაჟის სემ მირზას დედა ქართველი ნაკიჰათ ხანუმი.

იოლი არ იყო სერალის ქალებთან კონტაქტი, მით უმეტეს უცხოელისთვის, რის იმედზეც ხშირად ლაპარაკობს თავის წერილებში კრისტოფორო. სერალის ქალების გარე სამყაროსგან იზოლაცია განსაკუთრებით გამკაცრდა აბას მეორის დროიდან.

ელენე ათაბაგი, როგორც ითქვა, კრისტოფოროს წარმოსახვის ისეთივე ნაყოფია, როგორც მონაზონი კრისტიანე. არ არსებობდა შაჰ აბას II-ის ცოლი-დედოფალი ელენე, ასევე არ არსებობდა მონაზონი კრისტიანე.

სავარაუდოა, კრისტოფორო კასტელისთვის ელენეს პროტოტიპი იყო მეფე თეიმურაზ I-ის ასული თინათინი. ზემოთ გავეცანით ვრცელი ამონარიდს ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან, რომელშიც მოთხრობილია როგორ ჩაიყვანეს თინათინი ისფაჰანში 1634 წელს და საფის მიათხოვეს 1637 წელს. თინათინი და საფი გარდაიცვალნენ 1642 წელს.

სავარაუდოა, ის წერილები, რომლებშიც კრისტოფორო ელენეზე ლაპარაკობს, არასოდეს გაუზიარებია მითითებული პიროვნებების ან მისამართების მიხედვით, მითუმეტეს არ უნდა გაგზავნილიყო უადრესატო წერილები და როგორც ჩანს, მას ამგვარი განზრახვა არც უნდა ჰქონდა. აქედან გამომდინარე არ შეიძლება არსებულები და არც არსებობს მათზე საპასუხო წერილები.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრისტოფოროს წერილები, მის მიერ ჩაფიქრებული თავისი ცხოვრების მემორიული რომანის პასაჟები უნდა ყოფილიყო, რომლებშიც ერთმანეთთან შეზავებულია რეალური და ირეალური. იგი მათში გააშუქებდა XVII საუკუნის პირველ ნახევარის საქართველოში სოციალურ და რელიგიურ დაპირისპირებას ორ სოციალურ ფენას – ფეოდალურ არისტოკრატასა და დანარჩენ მოსახლეობას შორის.

კრისტოფოროს ურთიერთ საწინააღმდეგო აზრებს ახმოვანებენ ელენე ათაბაგი და 'უბრალო' მონაზონი კრისტიანე.

ელენე ათაბაგმა, კრისტოფოროს მცდელობისა და შთაგონების მიუხედავად, არ უარყო მას ქრისტიანობა, კომფორტული ცხოვრება არჩია, ქრისტიანობას უღალატა და გახდა სპარსეთის დედოფალი. რჯულშეცვლილი დედოფალი ცდლობდა საბოლოოდ არ გაეწყვიტა კავშირი ქრისტიანობასთან და რაღაცით შეწეოდა მას. კრისტოფორო, ალბათ, პირადად იცნობდა არა მხოლოდ მაღალი წრის რენეგატ ქალებს, არამედ მამაკაცებსაც, რომლებიც ამ გზით იპოვებდნენ სიმდიდრეს და კარიერას.

კრისტოფორე თავის წერილებში ხშირად აღნიშნავდა საქართველოს უბრალო მოსახლეობის გაჭირვებულ ცხოვრებას, მათში გავრცელებულ დაავადებებსა და სიკვდილიანობას, მუსლიმანური სახელმწიფოს თარეშის და მსხვილი ფეოდალების ურთიერთბრძოლით განადგურებული ქვეყნის ეკონომიკას. არისტოკრატთა უმრავლესობა არაფერს აკეთებდა მოსახლეობის დაბალი ფენების მდგომარეობის შესამსუბუქებლად. უფრო მეტიც ისინი მონაწილეობდნენ თანამემამულეებით ვაჭრობაში და აზარალებდნენ ერის გენოფონდს.

კრისტიანე (კასტელი) ელენეს მიმართავს: *'ცოდვილო დაო ქრისტიანე, შენ იმდენი ბოროტება გამოიწვიე, იმდენი ცოდვა დაგიგროვდა, რომ უსარგებლო შეიქენი. კარგს ელტვოდი, მაგრამ მრავალი დაქცევის მიზეზი გახდი, ისე, რომ შენივე მიზეზით ღვთის მტრების ხელში ჩავარდი'* (kristoforo კასტელი, 1976: 202). განსაკუთრებით საყურადღებოა *'მტირალი და მოქვითინე და კრისტიანეს'* (კასტელის) ხუთ მუხლად ჩამოყალიბებული წუხილი-დიდება დაკარგულ საქართველოზე, რომლიდანაც მშვენივრად ჩანს დე კასტელის დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, სადაც მან თითქმის მეოთხედი საუკუნე გაატარა.

'ეჰ ვუმზერ საქართველოს და [გული ცრემლებით მევსება], უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა.'

იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძა-ლიან მამაცი მებრძოლნი [წინამძღოლნი] იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ.

საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქტისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტადრის საძოვარზე ნარეკალი გაზრდილა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრძნის გამო, ბევრი სილატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია~ (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 203, sur. 570). ეს სიტყვები საქართველოზე შეიძლება და მხოლოდ იმას ეთქვა, ვისაც ეკუთვნის ორი საოცარი ფრაზა: 'კურთხეულო უფალო, საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 (22-ე.მ.) წლის განმავლობაში, მაგრამ იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ჩემი მძიმე ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო', და 'მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო' (ქრისტოფორო კასტელი, 1976: 203, sur. 570). ამგვარად, კრისტოფორო თავისი წერილებით ქმნიდა დღიურებს, რომელიც იმ სერიოზული ნაშრომის საფუძველი უნდა გამხდარიყო, რომელშიც ალეგორიულად გადმოსცემდა ერთ დროს ძლიერი და განათლებული საქართველოს დაცემის მიზეზებს.

რომ გვქონებოდა კასტელის ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშები, შედარებით სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნებოდა კრისტოფოროს წერის მანერის, სტილის და ფაქტების მისეული ანალიზის შესახებ; რომ გავცნობოდით მის მიერ დასახელებული ქართველი მეფე-მთავრებისათვის გაგზავნილ ქართულად დაწერილ მის წერილებს. კრისტოფორო კასტელი სამეგრელოდან გაგზავნილ თავის ერთ-ერთ წერლში (1648 წლის 20 სექტემბერი) სიამაყით აღნიშნავდა, რომ მაშინ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის მცირე ნაწილმა იცოდა წერა-კითხვა, განცვიფრებულნი იყვნენ, კასტელის მიერ ორი ქართული დამწერლობის (საეკლესიო და საერო = ნუსხა-ხცური და მხედრული) ცოდნით. ის, როგორც ამბობდა, ქართულად წერდა წერილებს სპარსეთის დეოფალს, მთავარ გურიელს, ქართლის მეფეს და იმერეთის მეფეს, რომლებისგანაც დიდ მოწყალებას იღებდა. განსაკუთრებულ მნიშვნელობა ექნება კასტელის იმ სამ ნაშრომს, რომლებიც ჯუზეპე კოტონოს თქმით (Cottono, Gajetano Maria, C. R., 1733: 280), მან შექმნა. მან ჯერ კიდევ საერო პირად ყოფნის დროს, ერთი ანონიმურად გამოაქვეყნა – 'განსჯა და შეგონება ქრისტეს საიდუმლო ვნებების შესახებ'. მან მისიონერობის ჟამს ქართულად დაწერა ორი თხზულება, რომლებიც მოღწეულია ხელნაწერების სახით და დაცულია არქივში: 'ღვთიური სიყვარულის სინაზე', მიძღვნილი ელენე ათაბაგისადმი, და 'ქრისტეს ვნებების განსჯა', მიძღვნილი პატრიარქ მალაქია მეორესადმი. როგორც კასტელის ბიოგრაფიის ავტორი ლუიჯი კაიანი აღნიშნავდა, მას სხვა დამატებითი ინფორმაცია არ გააჩნდა კასტელის სამწერლობო შემოქმედებაზე.⁶

⁶ Secondo un suo biografo, il Cottone, il C. avrebbe pubblicato anonime, quando era ancora laico, le Meditazioni, ed orazioni giaculatorie sopra i misterj della Passione di Christo. Durante il periodo missionario avrebbe poi composto due opere in georgiano, rimaste manoscritte: Le tenerezze del divino Amore, dedicata alla principessa georgiana Elena Artabachi, e le Meditazioni sulla Passione di Cristo, dedicata al patriarca Malachia II. Di esse non abbiamo altre notizie. Caiani luiji, Casteli Teramo, in Dizionario Biografico degli Italiani, V. 21, 1978. [https://www.treccani.it/enciclopedia/teramo-castelli_\(Dizionario-Biografico\)/](https://www.treccani.it/enciclopedia/teramo-castelli_(Dizionario-Biografico)/)

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- არკანჯელო ლამბერტი. (2020). წმინდა კოლხეთი, იტალიურიდან თარგმნა გეორგი ცქიტივილიძე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ. თბილისი.
- არქანჯელო ლამბერტი. (1938). სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასი. მეორე გამოცემა. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბილისი.
- გაბაშვილი, ვ. (2016). უნდილანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. სპარსეთში, (ქართული წყაროების მიხედვით). გაბაშვილი ვ. სტატიების კრებული, I. თბილისი.
- გუგუშვილი, ნ. (2022). ქალი შუა საუკუნეების საქართველოში. საქართველოს ისტორიის პალიტრა, ტ. 5, თბილისი.
- დონ კრისტოფორო დე კასტელი. (1976). ცნობები და აღზომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა დ კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.
- თამარაშვილი, მ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი.
- თამარაშვილი, მ. (1995). ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი.
- ლიჩინი, პ. ა. (2009). კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი.
- მამისთვალისვილი, ე. (2011). საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბილისი.
- მამისთვალისვილი, ე. (2022). საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, VI. პიეტრო დელა ვალე – დიპლომატი და მოგზაური საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის პირველი მესამედი), გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მამისთვალისვილი, ე. (2020) როსტომი და ვახტანგ V. ქართველი მეფეები, თბილისი.
- მამისთვალისვილი, ე. (2024)ა: კრისტოფორო კასტელი საქართველოს მედიატორე. ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #11.
- მამისთვალისვილი, ე. (2024) ბ: საფარ-ფაშა // ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, #11.
- ნაცვლისვილი, პ. (2012). აღმოჩენის მოლოდინი. დონ კრისტოფორო დე კასტელი ახალი თვალით // ლიტერატურული გაზეთი, 28 დეკემბერი.
- ტაბალუა, ი. (1987). საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი.
- ფარსადან გორგიჯანიძე. (2022). საქართველოს ცხოვრება. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბილისი.
- ქართლის ცხოვრება. (1973). IV. ბატონისვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი.
- Arch. Gen. Teatin. (1642). *Lettere dei Missionari in Mingrelia dal 1626: Cristoforo Casteli, dalla Mingrelia*, 12 Novembre, al Rev. Padre D. Francesco Bolvito.
- Babayan, K. (1993). *The Waning of the Qizilbash: The Spiritual and the Temporal in Seventeenth Century Iran*. Princeton University.
- Bernadete Majorana. (1990). *La gloriosa impresa*, Storia e immagini di un viaggio secentesco. Elerio editore Palermo.

- Bellio V. (1884). *La Georgia e la Mingrelia secondo un missionario ital. del sec. XVII*, in *Boll. della Soc. geogr. ital.*, s. 2, IX, pp. 673-708 (studio dettagliato sui manoscritti conservati a Palermo: vi sono riprodotti molti disegni).
- Bib. Naz. (1642). V. E. III Ms S. Martino 510, f. 131 V: Cristoforo Castelli al R.do P.re D. Stefano MediCi, prep.to Generale del Ch.ci reg.ri, Roma. Questo frammento è certamente la prima parte del resoconto scritto da P. Christoforo il 22 Marzo dalla Mingrelia, conservato nell'Archivio Generale dei P.ri Teatini. (v. pp. 32-34).
- Caiani Lujji, (1978). *Casteli Teramo*, in *Dizionario Biografico degli Italiani*, V. 21, [https://www.treccani.it/enciclopedia/teramo-castelli_\(Dizionario-Biografico\)/](https://www.treccani.it/enciclopedia/teramo-castelli_(Dizionario-Biografico)/)
- Cottono, Cajetano Maria, C. R. (1733). *De scriptoribus venerabilis domus Divi Josephi clericorum regularium Urbis Panormi...* auctore Cajetano Maria Cottono panormitano..., Panormi, ex Typographia Angeli Fellicella.
- Clemente Galano. (1690). *Conciliationis Ecclesiae Armenae cum Romana*, Pars Prima, Romae.
- Don Francesco Andreu C.R. (1951). *Carteggio inedito di Pietro Della Valle col P. Avitabile e I Missionari Theatini della Georgia // Regnum Dei*. Collectanea Theatina. A Clericis Regularibus quarter in anno VII, Roma, pp. 134-136.
- Farhad, (2003). *Slaves of the Shah: New Elites of Safavid Iran*, Tauris.
- Ferro B. (1704). *Istoria delle missioni de' Chierici regolari teatini*, I, Roma.
- Licini P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, missionario in Georgia e Mingrelia*, Milano.
- Matthee, Rudolph P. (2005), *The Pursuit of Pleasure: Drugs and Stimulants in Iranian History, 1500-1900*. Princeton, New Jersey: Princeton University Press,
- Matthee, Rudi. (2012). "*Abbas II*". In *Yarshater, Ehsan* (ed.). *Encyclopædia Iranica*, Online Edition. Encyclopædia Iranica Foundation.
- Matthee, Rudi. (2015). "*Solayman I*". In *Yarshater, Ehsan* (ed.). *Encyclopædia Iranica*, Online Edition. Encyclopædia Iranica Foundation.
- Roemer, H.R. (1986). "The Safavid period". *The Cambridge History of Iran, Volume 5: The Timurid and Safavid periods*. Cambridge: Cambridge University.
- Silos G., *Historiarum Clericorum Regularium a Congregatione condita*, II, Romae 1655, pp. 612-613, 632; III, Panormi 1666, pp. 175, 303-308.
- Sussan Babaie, (2004). Kathryn Babayan, Ina Baghdiantz-McCabe, Massumeh. *Slaves of the Shah: New Elites of Safavid Iran* (London: I. B. Tauris).
- Tabagua Ilia M. (1996). *I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede*, vol. I, Tbilisi.
- Viaggi di Pietro della Valle*. (1843). *Il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore*. Brighton G. Gancia. Vol.II.351. https://ia800509.us.archive.org/28/items/viaggidipietrode_02vall/viaggidipietrode02vall.pdf

References

Arcangelo Lamberti, (2020). *Saint Colchis*, translated from Italian by Giorgi Tskitishvili, the text was prepared for publication, research, explanations and references were added by Davit Merkviladze, Tbilisi.

- Arcangelo Lamberti. (1938). *Description of Samegrelo*. Translated from Italian by Aleksandre Chkonia. second edition. With a foreword, editing and notes by Levan Asatiani, Tbilisi.
- Gabashvili, V. (2016). *Undiladze Feudal House of XVI-XVII centuries in Persia (According to Georgian Sources)*. Gabashvili V. Collection of Articles, I, Tbilisi.
- Gugushvili, N. (2022). *A Woman in Medieval Georgia. Palette of Georgian History*, vol. 5, Tbilisi.
- Don Cristoforo de Castelli. (1976). *Reports and Album about Georgia*. The text was decoded, translated, researched and comments added by Bezhan Giorgadze, Tbilisi.
- Tamarashvili, M. (1902) *History of Catholicism among Georgians*, Tiflis.
- Tamarashvili, M. (1995). *Georgian Church from the Beginning to the Present Day*. Edited, preface added and prepared for publication by Zaza Aleksidze and Jumber Odisheli, Tbilisi.
- Licini, P. A. (2009). *Cristoforo Castelli and His Mission in Georgia*. Translation and notes by Murman Papashvili, Tbilisi.
- Mamistvalishvili, E. (2011) *Foreign Policy and Diplomacy of Georgia*, II, Tbilisi.
- Mamistvalishvili E. (2022). Foreign policy and diplomacy of Georgia, VI. Pietro Della Valle - diplomat and traveler about Georgia (first third of the 17th century), Gori State University Publishing House.
- Mamistvalishvili, E. (2020). Rostomi and Vakhtang V. Georgian Kings, Tbilisi.
- Mamistvalishvili, E. (2024) A: *Cristoforo Castelli Mediator of Georgia*. HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY #11.
- Mamistvalishvili, E. (2024) B: *Saphar-Pasha* // HISTORY, ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY #11.
- Natsvlshvili, P. (2012). *Anticipation of Discovery*. Don Cristoforo de Castelli with New Eyes // Literary Newspaper, December 28.
- Tabagua, I. (1987). *Georgia in European Archives and Libraries*, III, Tbilisi.
- Parsadan Gorgijanidze. (2022). *Chronicles of Georgia*. The text was prepared for publication, research, notes and references were added by Giuli Alasania, Tbilisi.
- Chronicles of Kartli. (1973). IV. Batonishvili Vakhushti, *Description of the Kingdom of Georgia*. The text established according to all the main manuscripts by S. Kaukhchishvili, Tbilisi.
- Arch. Gen. Teatin. (1642). *Lettere dei Missionari in Mingrelia dal 1626: Cristoforo Casteli, dalla Mingrelia*, 12 Novembre, al Rev. Padre D. Francesco Bolvito.
- Babayan, K. (1993). *The Waning of the Qizilbash: The Spiritual and the Temporal in Seventeenth Century Iran*. Princeton University.
- Bernadete Majorana. (1990). *La gloriosa impresa*, Storia e immagini di un viaggio secentesco. Elerio editore Palermo.
- Bellio V. (1884). *La Georgia e la Mingrelia secondo un missionario ital. del sec. XVII*, in *Boll. della Soc. geogr. ital.*, s. 2, IX, pp. 673-708 (studio dettagliato sui manoscritti conservati a Palermo: vi sono riprodotti molti disegni).
- Bib. Naz. (1642).V. E. III Ms S. Martino 510, f. 131 V: Cristoforo Castelli al R.do P.re D. Stefano MediCi, prep.to Generale del Ch.ci reg.ri, Roma. Qvesto frammento è certamente la prima parte del rosoconto scritto da P. Christoforo il 22 Marzo dalla Mingrelia, conservato nell'Archivio Generale dei P.ri Teatini. (v. pp. 32-34).
- Caiani Luiji, (1978). *Casteli Teramo*, in Dizionario Biografico degli Italiani, V. 21, <https://www.treccani.it/enciclopedia/teramo-castelli> (Dizionario-Biografico)/
- Cottono,Gajetano Maria, C. R. (1733). *De scriptoribus venerabilis domus Divi Josephi clericorum regularium Urbis Panormi...* auctore Cajetano Maria Cottono panormitano..., Panormi, ex Typographia Angeli Fellicella.

- Clemente Galano. (1690). *Conciliationis Ecclesiae Armenae cum Romana*, Pars Prima, Romae.
- Don Francesco Andreu C.R. (1951). *Carteggio inedito di Pietro Della Valle col P. Avitabile e I Missionari Theatini della Georgia* // Regnum Dei. Collectanea Theatina. A Clericis Regularibus quarter in anno VII, Roma, pp. 134-136.
- Farhad, (2003). *Slaves of the Shah: New Elites of Safavid Iran*, Tauris.
- Ferro B. (1704). *Istoria delle missioni de' Chierici regolari teatini*, I, Roma.
- Licini P. A. (1980). *Carteggio inedito di Cristoforo Castelli Chierico Regolare, missionario in Georgia e Mingrelia*, Milano.
- Matthew, Rudolph P. (2005), *The Pursuit of Pleasure: Drugs and Stimulants in Iranian History, 1500-1900*. Princeton, New Jersey: Princeton University Press.
- Matthew, Rudi. (2012). "*Abbas II*". In *Yarshater, Ehsan* (ed.). Encyclopædia Iranica, Online Edition. Encyclopædia Iranica Foundation.
- Matthee, Rudi. (2015). "*Solayman I*". In *Yarshater, Ehsan* (ed.). Encyclopædia Iranica, Online Edition. Encyclopædia Iranica Foundation.
- Roemer, H.R. (1986). "The Safavid period". *The Cambridge History of Iran, Volume 5: The Timurid and Safavid periods*. Cambridge: Cambridge University.
- Silos G., *Historiarum Clericorum Regularium a Congregatione condita*, II, Romae 1655, pp. 612-613, 632; III, Panormi 1666, pp. 175, 303-308.
- Sussan Babaie, (2004). Kathryn Babayan, Ina Baghdiantz-McCabe, Massumeh. *Slaves of the Shah: New Elites of Safavid Iran* (London: I. B. Tauris).
- Tabagua Ilia M, (1996). *I rapport tra la Georgia Cristiana e la Santa Sede*, vol. I, Tbilisi.
- Viaggi di Pietro della Valle*. (1843). *Il pellegrino descritti da lui medesimo in lettere familiari all'erudito suo amico Mario Schipano, divisi in tre parti cioè: La Turchia, La Persia, e l'India, colla vita dell'autore*. Brighton G. Gancia. Vol.II.351. <https://ia800509.us.archive.org/28/items/viaggidipietrode02vall/viaggidipietrode02vall.pdf>

ავტორი მადლობას მოახსენებს წარმოდგენილი სტატიის
ინგლისურ ენაზე მთარგმნელს, ანა ჩოჩიას